პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

1979
წელი
სამშაბათი
5
ივნისი
№ 128
(17473)
□
ფასი
2 კაპ.

წარმოების ეფექტიანობა, მუშაობის ხარისხი

უზრუნველვყოთ საწარმოო სიმძლავრეთა მატება უპირველესად საწარმოთა ტექნიკური განახლების, მოწყობილობის მოდერნიზაციისა და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების გზით, რათა გავადიდოთ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება უმცირესი დანახარჯებით და უფრო მოკლე ვადებში. დავაჩქაროთ მორალურად მოძველებული ტექნიკის შეცვლა — ასეთია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მიზანდასახულობანი მეათე ხუთწლედში.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე ხუთწლედი, როგორც ცნობილია, დიდმნიშვნელოვანი ეტაპია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში, სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარებაში. იგი საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერების პერიოდია. ეს რომ ასეა, ამას ნათლად მოწმობს მიმდინარე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე ეკონომიკაში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებანი.

ამ მოვლენების გაანალიზებისას, თვალში გეცემათ ის, რომ უმრავლეს შემთხვევაში წინა პლანზეა ხარისხისა და ეფექტიანობის მაღალი მაჩვენებელი, რაც სავსებით კანონზომიერია. თავის სიტყვაში ჩვენი ქვეყნის პროფესიული კავშირების XVI ყრილობაზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ **თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური შეჯიბრება თავისთავად ახალ ნიშან-თვისებებს, ახალ თავისებურებებს იძენს. დღევანდელი შეჯიბრება განუყოფელია მატერიალურ-ტექნიკური რევოლუციისაგან, იგი სულ უფრო მეტად კონცენტრირდება ეფექტიანობისა და ხარისხის პრობლემების გარშემო, იგი მიზნად ისახავს საუკეთესო საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევას.**

ახლა სამინისტროების, უწყებათა და სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელთა ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა ფასად დაგვიჯდა ეს მიღწევა და რამდენად შეეფერება იგი თანამედროვე მოთხოვნებს, როგორ იქნა გამოყენებული მანქანა-დანადგართა პარკი, საწარმოსა თუ გაერთიანების მთლიანი სიმძლავრეები. ერთი სიტყვით, მოწყობილობის ცვლიანობის კოეფიციენტის მაჩვენებელი, მისი დატვირთვის დონე, ძირითადი საწარმოო ფონდების უკუგება დღეს ყველას ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ეს ერთნაირად ეხება როგორც საწარმოთა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, ისე მუშებს, ვინაიდან ეს საკითხები ეკონომიკური ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

ამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემებზე დიდი ყურადღება გამახვილდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში, სადაც ჩაწერილია: **„გავადიდოთ მანქანებისა და მოწყობილობების მუშაობის ცვლიანობა. მანქანათმშენებლობაში საშუალოდ 20-30 პროცენტით ავამაღლოთ ცვლიანობის კოეფიციენტი, შევამციროთ მანქანებისა და აგრეგატების მოცდენა, წყვეტილი ხასიათის წარმოების მქონე დარგებში გავახანგრძლივოთ კვირის მანძილზე მუშაობა, ავამაღლოთ მისი მწარმოებლობა“.**

უკანასკნელ პერიოდში, რაც უდავოდ მისასალმებელია, რესპუბლიკის უმრავლეს საწარმოო კოლექტივებში ღრმად სწვდებიან ეკონომიკის ყველა დეტალს, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა რაც შეიძლება მეტი „გამოგლიჯონ“ ტექნიკას, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ საწარმოო ფონდები და რესურსები, თითოეული სამუშაო წუთი.

როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მრეწველობის სხვა დარგებიდან შარშან განვითარების სწრაფი ტემპით გამოირჩეოდა მანქანათმშენებლობა (109,5 პროცენტი), რომელიც განსაზღვრავს მატერიალური წარმოების სფეროს ყველა სხვა დარგის განვითარების პროცესს. მანქანათმშენებლობაში დანადგართა მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტმა შარშანდელი მაჩვენებლის მიხედვით 1,18-ს მიაღწია, რაც მეცხრე ხუთწლედის ბოლო წლის დონეს აღემატება. 1978 წელს საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალური ამოქმედების სამაგალითო შედეგს მიაღწიეს თბილისის „ელექტროიზოლიტის“ (99 პროცენტი), კალინინის სახელობის სამსხმელო დანადგართა (98 პროცენტი) ქარხნების, სამრეწველო გაერთიანებების — „საქელექტრომანქანის“ (99 პროცენტი) და „ელვის“ (91,5 პროცენტი) კოლექტივებმა.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში მრეწველობა სიმძლავრეთა ათვისების საქმეში ჯერ კიდევ ჩამორჩება საშუალო-საკავშირო დონეს, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საშუალო-დარგობრივ მაჩვენებლებს.

ძალიან ცუდად ითვისებენ საწარმოო სიმძლავრეებს რუსთავის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანაში, მადნეულის სამთოგამამდიდრებელ კომბინატში, ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში. ამის მიზეზია დაპროექტებისა და მშენებლობის ხარვეზები, დაუხვეწავი ტექნოლოგიური პროცესები, მუშათა და სპეციალისტთა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და სხვა.

ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში სიმძლავრეების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი განაპირობა იმან, რომ საწარმო მაქსიმალურად არ არის დატვირთული. მაგალითად, ადგილობრივი საავტომობილო ქარხნის ავტოსაწევრების დასაკომპლექტებლად ტრაქტორმშენებლები დასაჯდომ მოწყობილობას ამზადებენ, მაგრამ საამისო დანადგარები აქ მხოლოდ 72,8 პროცენტით არის დატვირთული. მეორეც. ქარხანა რუსეთის მონათესავე საწარმოსათვის ამზადებს უნიფიცირებულ წინა ხიდებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი დამოკიდებულია იმ გეგმაზე, რომელსაც შემკვეთი საწარმო უშვებს. რაც შეეხება ქარხნის ძირითად პროდუქციას — მცირეგაბარიტიან ტრაქტორ „რიონს“ (სიმძლავრეების გამოყენების მაჩვენებელი 70,2 პროცენტი) — იგი დაბალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გამო არ საღდება.

ასეთი არანორმალური მდგომარეობა შეუწყნარებელია. ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა რესპუბლიკის შესაბამისი ზემდგომი ორგანოებიდან აშკარა შველას ითხოვს!

როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე აღინიშნა, მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობის ზოგიერთ დარგში მცირდება ფონდუკუგებისა და შესაბამისი საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დონე. ეს უკანასკნელი საკმარისად არ არის გამოყენებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ელექტროტექნიკური, საავტომობილო მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებისა და სხვა დარგების საწარმოებში.

მოწყობილობის გამოყენების განსაკუთრებით არასახარბიელო სურათი გვაქვს დანადგართა ცვლიანობის კოეფიციენტის გამოყენების მიხედვით. ჯერ კიდევ ცოტა როდია საწარმო, სადაც მოწყობილობა მთლიანად დატვირთული არ არის, სადაც დიდია მოცდენები, დროის დანაკარგები, და თავისთავად ცხადია, რომ სიმძლავრეებს არ შეუძლიათ მოგვცენ ის ეფექტი, რომლის იმედიც ჰქონდათ სამინისტროებში, უწყებებში, საგეგმო ორგანოებში. სამწუხაროდ, ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელები ცდილობენ ეს მდგომარეობა ახსნან მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შეფერხებით, იმით, რომ მომწოდებელმა დროულად არ მიაწოდა ნაწილები, რომ არ ჰყოფნით ნედლეული, მასალები, სხვადასხვა სახეობის ენერგია. რა თქმა უნდა, ცუდი მომარაგება გავლენას ახდენს წარმოების ეფექტიანობაზე და ამ ნაკლოვანებებს უნდა ვებრძოლოთ. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ცუდი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება მანქანა-დანადგართა მოცდენის მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია და არა მთავარი. მაშ რატომ ხდება, რომ ზოგიერთი საწარმოს კოლექტივი არათუ არ ასრულებს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, არამედ სახელმწიფო გეგმასაც კი. იქ, სადაც შესუსტებულია ყოველდღიური ბრძოლა საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის, სადაც თითოეულ მუშას ნათლად არა აქვს წარმოდგენილი თავისი მოქმედების, შრომის უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, შედეგიც ცუდია.

ამიტომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ამ საყოველთაო ბრძოლის სულისჩამდგმელები და შთამაგონებლები უნდა გახდნენ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. დაე ისინი იყვნენ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის თაოსნები!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება — „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების თაობაზე“. მასში აღნიშნულია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში მოცემულ დასკვნებსა და დებულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო დეპუტატთა საბჭოების, ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სახალხო დეპუტატთა საბჭოებს წინადადება მისცა იხელმძღვანელონ სსრ კავშირის კონსტიტუციის იმ დებულებით, რომ საერთო-სახალხო სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა კომუნისტური საზოგადოების წევრის აღზრდა, და უფრო სრულად გამოიყენონ მათს განკარგულებაში არსებული საშუალებანი და შესაძლებლობანი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის, უფრო ფართოდ ჩააბან მოქალაქენი სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში, დარაზმონ მშრომელები ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესასრულებლად, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ადგილობრივი საბჭოების მუშაობა, უზრუნველყოფილ იქნეს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებათა გათვალისწინებით.

როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაშია ხაზგასმული, სახალხო დეპუტატთა საბჭოები დაუცხრომელი ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას დაქვემდებარებულ საწარმო-ორგანიზაციებში, მშრომელთა კოლექტივების როლის ამაღლებას წარმოებასა და აღმზრდელობით საქმიანობაში, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხთა განხილვას, რომელთა სწორ გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობა.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საბჭოების სესიებზე, აღმა-

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მტკიცედ დავიცვათ მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი — „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად პარტიის ზესტაფონის რაიკომის მუშაობის თაობაზე.

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ ახორციელებს რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, პარტიის ზესტაფონის რაიკომი გარკვეულ მუშაობას ეწევა მასების კომუნისტური აღზრდისათვის, საბჭოთა ცხოვრების წესის ფუძემდებელი პრინციპების განხორციელებისათვის, კომუნისტური ზნეობის ნორმების დამკვიდრებისათვის, ჩვენი საზოგადოებისადმი უცხო მოვლენების დაძლევისათვის.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს იმ საქმიანობის დონე, რომელსაც პარტიის ზესტაფონის რაიკომი ეწევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად. მთელ რიგ ნეგატიურ მოვლენებში, რომლებსაც ჯერ კიდევ მოაქვს მორალური ზიანი და მატერიალური ზარალი საზოგადოებისათვის, გარკვეული ადგილი უკავია სოციალისტური საზოგადოებრივი მოვლენების საწინააღმდეგო ზოგიერთ ადათ-წესს, წეს-ჩვეულებასა და დღესასწაულს. რაიონში ჯერ კიდევ არ გაჩაღებულა გამიზნული, გეგმაზომიერი და პრინციპული მუშაობა წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოსაფხვრელად, დაბალია გადმონაშთებთან ბრძოლის საერთო დონე, რაც დაღს ასვამს ადამიანთა შრომითი და საზოგადო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს.

რაიონის ზოგიერთი შრომითი კოლექტივის პარტიულ ორგანიზაციებსა და სამეურნეო ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ვერ მიუღწევიათ იმისათვის, რომ ყველა რგოლში იგრძნობოდეს საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის ვითარება, რომ ყოველ მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს, კოლმეურნეს, მოსამსახურეს აბამდნენ უყაირათობის, მოშვებულობის, შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ზოგჯერ შრომითს კოლექტივებში მიმდინარე აღმზრდელობითს ღონისძიებებს ვიწრო საგანმანათლებლო ხასიათი აქვს, ხორციელდება ცხოვრებასა და მოწინავე გამოცდილებას მოწყვეტით, რის შედეგადაც ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს, სუსტ გავლენას ახდენს ადამიანთა შეგნებასა და ქცევაზე.

პარტიის რაიკომს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ სათანადოდ არ გარდაუქმნიათ მუშაობა სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად, რაიონში ბევრია სოციალისტური საკუთრების დატაცების, კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინებათა, კანონების, კომუნისტური მორალის ნორმების დარღვევის ფაქტები. განსაკუთრებით მრავლად არის ნეგატიური მოვლენები მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში. ხშირია შემთხვევები, როცა მავნე ტრადიციებს სისხლის სამართლის დანაშაულობანი და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები მოჰყვება ხოლმე.

ამ საკითხებისადმი ყურადღების შესუსტების შედეგად მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს შორის უკანასკნელ ხანს კვლავ გამოცოცხლდა ჩვენთვის უცხო რიტუალებისა და დღეობების, ხალხმრავალი ქელეხების, ქორწილების, ახალმოსახლეობის გადახდა, რასაც თან ახლავს ხოლმე დიდძალი ფულის შეგროვება. არცთუ იშვიათად, ამის ინიციატორებად გამოდიან კომუნისტები, პედაგოგები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების მუშაკები.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ისეთი ეფექტიანი ფორმა, როგორიც არის საბჭოთა არმიის რიგებში გაცილება, ამ ბოლო ხანს ბევრგან ღრეობად გადაიქცა. რაიონში მომრავლდნენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების კომბინატში — ამ სახელმწიფო დაწესებულებაში მოკალათებული საქმოსნები, რომლებსაც დაწესებულების ინვენტარი და ჭურჭელი თავიანთი პირადი შემოსავლის წყაროდ გაუხდიათ.

რაიონის პირველადმა პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა შეასუსტეს ყურადღება მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერ კიდევ ყველა პარტიული ორგანიზაცია, საბჭოთა ორგანო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ დადგომია აქტიურ პოზიციას ამ საქმეში, სათანადოდ არ დაურაზმავთ კომუნისტები, კომკავშირლები, საზოგადოებრიობის მთელი ძალები, ადმინისტრაციული ორგანოები.

რაიონის იდეოლოგიური კადრები, აგიტატორ-პროპაგანდისტთა აქტივი ასევე არ არის ჯეროვნად მობილიზებული რაიონის ცხოვრებაში ფეხმოკიდებული მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების აღმოსაფხვრელად. სუსტად იყენებენ ამ მუშაობაში მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემას, სააგიტაციო და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვან ფორმებს. რაიონის 148 პირველადი ორგანიზაციიდან აგიტკოლექტივები შექმნილია მხოლოდ 53-ში, ხოლო პოლიტინფორმატორთა ჯგუფები — სულ 22 ორგანიზაციაში, და ისინიც ცუდად მუშაობენ. ბევრმა აგიტატორმა არც კი იცის, რომ არსებობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. აგიტსაუბრებში არ ეძლევა პარტიული შეფასება ობივატელური ფსიქოლოგიის გამოვლინებებს, არ აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს ამ გამოვლინებათა ირგვლივ, ჯეროვნად არ წარმოებს მუშაობა ათეისტური მსოფლმხედველობის ჩამოსაყალიბებლად, არ იგრძნობა დიფერენცირებული მიდგომა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისადმი, რის გამო რელიგიის გავლენა კვლავ მნიშვნელოვანია.

პარტიის რაიკომი უაღრესად სუსტად იყენებს ლექციური პროპაგანდის შესაძლებლობებს იმისათვის, რომ კოლექტივების წევრები აღზარდონ კომუნისტური ზნეობის, საბჭოთა ცხოვრების წესისადმი უცხო ზნე-ჩვეულებებისა და შეხედულებების მიმართ შეურიგებლობის სულისკვეთებით. რაიონის ნახევარზე მეტ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში არ წაუკითხავთ არც ერთი ლექცია, ხოლო დანარჩენ ორგანიზაციებში არ ჩაუტარებიათ ლექციები ისეთ დიდმნიშვნელოვან თემებზე, როგორიც არის მშრომელთა ინტერნაციონალური და ზნეობრივი აღზრდა, ბრძოლა ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის მავნე გადმონაშთების, სოციალისტური მორალის ანტიპოდების წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ არ გაუჩაღებია მუშაობა მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რაიონულ კომისიას, რომელიც 1975 წელს შეიქმნა და მას შემდეგ ფაქტიურად მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ იმ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, რომელსაც პარტიის ზესტაფონის რაიკომი (რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ბ. მერკვილაძე, მდივანი იდეოლოგიის დარგში ამხ. გ. ძაბირაძე) ეწევა, არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, კომუნისტური მშენებლობის ახალ ამოცანებს. ამ მუშაობას აკლია კონკრეტულობა, შეტევითობა, კომპეტენტურობა და მეცნიერული საფუძველი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის ზესტაფონის რაიკომს დაავალა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად შეიმუშაოს და განახორციელოს პარტიულ-ორგანიზაციულ, იდეურ-პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ-აღმზრდელობითს ღონისძიებათა მეცნიერულად დასაბუთებული, მიზანმიმართული კომპლექსი, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს მუშაობა, რომლის მიზანია დაძლიოს და საერთოდ აღკვეთოს ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ადათ-წესები, გამოავლინოს და განაზოგადოს ახალი საბჭოთა წეს-ჩვეულებების, რიტუალებისა და დღესასწაულების იდეური შინაარსისა და ესთეტიკური ფორმის სრულყოფის გამოცდილება.

პარტიის რაიკომს დაევალა ღრმად გააანალიზოს რაიონის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების მიზეზები, მისცეს მათ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში პრინციპული პარტიული შეფასება. პარტიის რაიკომმა ძირფესვიანად უნდა გარდაქმნას პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ბრძოლის გააქტიურებას მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ, ინდივიდუალურ მუშაობას კოლექტივების წევრებთან. თითოეულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ შრომითმა კოლექტივმა, უნდა განსაზღვროს თავისი კონკრეტული ამოცანები და ღონისძიებანი მავნე ტრადიციების, წეს-ჩვეულებების აღმოსაფხვრელად და ახალი სოციალისტური რიტუალების დასანერგად საყოველთაოდ გაჩაღებულ საზოგადოებრივ ბრძოლაში. რელიგიურ და ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო რიტუალებს უნდა დავუპირისპიროთ შრომის დღესასწაულები, ვეტერანთა პატივგება, შეხვედრები რაიონისა და რესპუბლიკის წარჩინებულ ადამიანებთან, კონკურსები პროფესიების მიხედვით, მასობრივი პროპაგანდისტული და ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებანი, ლაშქრობები რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში და სხვ.

პარტიის რაიკომი მოვალეა შეურიგებლად ებრძოლოს კერძომესაკუთრული ტენდენციების ყოველგვარ გამოვლინებას და სოციალისტური კანონიერების დარღვევებს, ფართოდ გამოიყენოს ამ მიზნით საზოგადოებრივი აზრი, კოლექტიური ზემოქმედების ღონისძიებანი, მასებთან იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები, ყოველნაირად გამოუმუშაოს ადამიანებს შეურიგებელი დამოკიდებულება ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო შეხედულებების მიმართ.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს დაევალა მკაცრი კონტროლი დაუწესოს რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების კომბინატის მუშაობას, დაამყაროს იქ სანიმუშო სახელმწიფო დისციპლინა, მიაღწიოს, რომ კომბინატი გახდეს პარტიის პოლიტიკის ნამდვილი გამტარებელი მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ, ახალი საბჭოთა რიტუალების დასამკვიდრებლად ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის ბიუროს, რაიკომის მდივნებს ამხანაგებს ბ. მერკვილაძესა და გ. ძაბირაძეს იდეოლოგიური მუშაობის ჯეროვნად შეუფასებლობისათვის მიეცათ მითითება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი დადგენილებით დასახა მთელი რიგი სხვა კონკრეტული ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ დადგენილების მოთხოვნების უთუო შესრულებას. (საქინფორმი).

საქმემ გამოარჩინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგეჭკორის რაიონის ზუბის კოლმეურნეობის მეჩაიე ლ. ფირცხალავა ყოველდღე 32 კილოგრამის ნაცვლად, 90-100 კილოგრამ ხარისხიან ჩაის ფოთოლს კრეფს.

— წლევანდელ სეზონში მოსავლელად მიჩენილ პლანტაციაში მოვკრეფ 6 ათას კილოგრამ ფოთოლს — ასეთი ამოცანა დაისახა ზუბის კოლმეურნეობის მეჩაიე ლ. ფირცხალავამ.

გ. გოგოხიას ფოტო.

საკვების დამზადებას — პარტიული ზრუნვა

უხვი, ყუათიანი

ზონალურ თათბირებზე

მივაღწიოთ ძირეულ გარდატეხას საკვების წარმოებაში, ახალ საფეხურზე ავიყვანოთ მეცხოველეობის ყველა დარგი! — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ მოწოდებას გულმხურვალედ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის მშრომელები. ახლა თითოეული შრომითი კოლექტივი განსაზღვრავს თავის ადგილს საკვების სადაზღვევო მარაგის შექმნაში, მისი ხარისხის გაუმჯობესებაში, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა კონკრეტული წვლილი შეიტანოს ყველას და თითოეულის ამ ღვიძლ საქმეში.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ქუთაისსა და საქართველოს ზოოვეტერინარულ სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში გამართული ზონალური თათბირები.

ქუთაისში თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარიძემ.

„რესპუბლიკაში მეცხოველეობის საკვების დამზადების მიმდინარეობისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. ეცადაშვილმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. მოსკალენკო, პარტიის წყალტუბოს საქალაქო, ცხაკაიას, სამტრედიის, ზუგდიდის, თერჯოლის, მახარაძის, ზესტაფონის, ვანის, მესტიის, აბაშის, გეგეჭკორის რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები დ. კიკნაძე, ვ. ესვანჯია, თ. იმედაძე, ი. თოდუა, ა. ბურჯანაძე, დ. დვალიშვილი, ბ. მერკვილაძე ნ. ანდრიაძე, ი. კარტოზია, გ. მგელაძე, ი. მოწერელია, საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი შ. ჭანუყვაძე, „საქსასოფლტექნიკის“ თავმჯდომარე დ. სარიშვილი.

თათბირზე აღინიშნა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის გამოქვეყნებისთანავე ადგილებზე დიდი მუშაობა გაჩაღდა მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების საქმეში ძირეული გარდატეხის უზრუნველსაყოფად. სოფლის მშრომელები, მუშები, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, რესპუბლიკის ყველა კომუნისტი და კომკავშირელი თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნევენ საკვების წარმოებისა და დამზადების ზრდისათვის გაჩაღებულ კამპანიას, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საკუთარი წარმოების საკვებით ფერმების უზრუნველყოფაში, ამ საერთო-სახალხო საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის ირაზმებიან ქალაქების მშრომელები, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა.

საკვების დამზადების დაჩქარებისათვის მაქსიმალურად უნდა ვიყენებდეთ მორალური და მატერიალური წახალისების ფორმებს, საჭიროა ამ მხრივ შევიმუშაოთ და განვახორციელოთ სხვა ღონისძიებანიც.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარიძემ.

(დასასრული მე-2 გვ.)



სურათზე: თათბირის მონაწილენი კრწანისში ეცნობიან საკვებმოპოვების ახალ ტექნიკას.
ვ. ზარიძის ფოტო.

„კომუნისტის“ საგუშაგო გვატყობინებს

◆ ◆

ჩვენი გაზეთის 4 მაისის ნომერში დაბეჭდილ მოწინავე წერილში „ბავშვის სახელით“ მკითხველებს ვპირდებოდით, რომ შევქმნიდით „კომუნისტის“ საგუშაგოებს: „ამიერიდან გაზეთში სისტემატურად გამოქვეყნდება ცნობები იმის შესახებ, თუ სად და როგორ მიმდინარეობს ბაგა-ბაღების მშენებლობა, ვისი გულგრილობისა თუ დაუდევრობის გამო ჭიანურდება იგი და აუთვისებელი რჩება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები“.

აი რას გვატყობინებს ჩვენი ერთ-ერთი საგუშაგო.

პატარებზე ფიქრით

ლეგენდად ქცეულ კაპიტან ბუხაიძის გმირობის ამბავს წკრიალა ხმებით მღეროდნენ პატარები სოფელ ჭოგნარის ცენტრში, იქ, სადაც სამშობლოს დარაჯად დამდგარი ვაჟკაცის ძეგლია აღმართული.

გმირის მშობლიურ სოფელში გამართულ ზეიმს სტუმრები ეწვივნენ ქუთაისიდან, თერჯოლიდან, მეზობელი სოფლებიდან. ყველა მათგანმა მარჯვენა შეუქო მშენებლებს თანამედროვე სტილის ლამაზ ბაგა-ბაღის აშენებისათვის.

ბავშვის საერთაშორისო წელს ასეთსავე საჩუქარს მიიღებენ ზედასიმონეთელი პატარებიც. 50 ბავშვისათვის განკუთვნილი საბავშვო ბაღის მშენებლობა მთავრდება.

პატარა მოქალაქეების მომავალზე ფიქრი არ უნელდებათ თერჯოლის რაიონის ხელმძღვანელებს. სულ ხუთიოდე წლის წინათ აქ მხოლოდ სამი ბაგა-ბაღი იყო. ახლა მათი რიცხვი თერთმეტამდე გაიზარდა. ისინი 607 აღსაზრდელს ემსახურებიან. მართალია, რაიონში ძალზე დიდი მუშაობა გასწიეს, მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი. უბაგა-ბაღოდ ჯერ კიდევ 2.204 აღსაზრდელია დარჩენილი.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ ამას წინათ მიღებული გადაწყვეტილებით ჩხარისა და თუზის სასოფლო საბჭოებს დაევალათ ამ სოფლებში არსებული საბავშვო ბაღების კაპიტალური რემონტი. დრო გადის, მაგრამ საქმისათვის თავს არავინ იწუხებს.

მადლობის მეტი რა ეთქმით თერჯოლელებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და განათლების სამინისტროების მისამართით. ისინი ყოველმხრივ დახმარებას უწევენ რაიონის ბაგა-ბაღების ქსელის გაფართოებაში. ამ იმედით გეგმავენ აქ ზედა საზანოს, ალისუბნის, რუფოთის, ღვანკითისა და დაბა თერჯოლის 140-ადგილიან ბაგა-ბაღებს.

სწორედ იმ დროს, როდესაც ამ საკითხზე ვსაუბრობდით პარტიის რაიკომის პირველ მდივანს ა. ბურჯანაძეს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. ეცადაშვილმა ტელეფონით აცნობა მას, კავშირის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში ბაგა-ბაღის ტიპობრივი პროექტით აგების საკითხი დადებითად გადაწყდა. მისაბაძია აგრეთვე გოდოგნის კოლმეურნეთა მაგალითი: მათ უსასყიდლოდ გადასცეს სოფელ ნაგარევის საბავშვო ბაღს კაპიტალური შენობა.

სკოლამდელი დაწესებულებების ნორმალური მუშაობისთვის სხვაც ბევრია საზრუნავი. დასამალი არ არის, რომ შეფერხებაა ბაღების სურსათით მომარაგებაში. ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ავტობუსებით და შემთხვევითი მანქანებით უხდებათ ფონდით გამოყოფილი სურსათის გადაზიდვა, რაც შეუწყნარებელია. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია სახალხო განათლების განყოფილებას ამ დანიშნულებით გამოეყოს ავტომანქანა-ფურგონი ან უკიდურეს შემთხვევაში მოტოროლერი მაინც. ასევე საჭიროდ მიგვაჩნია დაისვას საკითხი შესაბამისი ორგანოების წინაშე, რომ საბავშვო ბაგა-ბაღები დააკმაყოფილონ ნატურალური რძით მახლობელი ფერმებიდან და ეს მეურნეობებს სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმაში ჩაეთვალოთ.

ა. ჯაფარიძე — თერჯოლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე, **ი. ფანჩულიძე** — პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი, **ა. აფხაიძე** — განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე, **უ. ცხადაძე** — რაიონული გაზეთის „წინსვლის“ განყოფილების გამგე, **ო. ნიჟაბაძე** — „კომუნისტის“ საკ. კორ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

(დასასრული)

სრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ საწარმო-ორგანიზაციათა საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვისას მათი მუშაობის შესაფასებლად უნდა იხელმძღვანელონ არა მარტო საწარმოო გეგმების შესრულებით, არამედ აგრეთვე შრომით კოლექტივებში დისციპლინის, ორგანიზებულობის დონით, მორალურ-პოლიტიკური კლიმატით, ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებით. ამ საკითხებს მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ წარმოებაში მოქმედმა დეპუტატთა ჯგუფებმა და დეპუტატთა საგუშაგოებმა, რომლებმაც უნდა იმოქმედონ პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სახალხო დეპუტატთა საბჭოებს დაავალა კიდევ უფრო გააუმჯობესონ საბჭოების პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა საცხოვრებელ ადგილებში, საერთო საცხოვრებლებში, მცირერიცხოვან კოლექტივებში, დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში.

საბჭოებისადმი დაქვემდებარებული სახალხო განათლებისა და კულტურის ორგანოები და დაწესებულებანი, სხვა ორგანიზაციები, რომლებიც კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას ეწევიან, მოწოდებული არიან მეტი ყურადღება დაუთმონ მოზარდი თაობის აღზრდას მაღალი მოქალაქეობრიობისა და შრომისმოყვარეობის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელებას, ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციასა და მომზადებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უნდა გააუმჯობესდეს საბჭოების სესიების, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკა, უფრო სრულად გამოიყენონ მათი შესაძლებლობანი არსებული რეზერვების გამოსავლენად, ნაკლოვანებათა გასაკრიტიკებლად და დასაბუთებულ გადაწყვეტილებათა შესამუშავებლად, განუხრელად ებრძოლონ ფორმალიზმს, ნაკლოვანებებისა და სიძნელეების მიჩქმალვის ფაქტებს; მეტი ყურადღება დაუთმონ ორგანიზატორულ მუშაობას მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, შესრულების კონტროლს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოებს დაევალათ:

ფართოდ გააცნონ მოსახლეობას, თუ რა საკითხებს განიხილავენ საბჭოები და მათი ორგანოები, სისტემატურად მოაწყონ საბჭოების აღმასკომების, დეპუტატების, მუდმივ კომისიათა ხელმძღვანელების გამოსვლები მოსახლეობის წინაშე საბჭოების საქმიანობის ამსახველი ინფორმაციით;

გააუმჯობესონ იმ მუდმივი კომისიების მუშაობა, რომლებიც აღზრდის, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხებს განაგებენ; გააძლიერონ ამ კომისიების კონტროლი შესაბამის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობისადმი;

ყოველი ღონისძიებით განავითარონ და დაუჭირონ მხარი დეპუტატთა აქტიურობას საბჭოების სესიებზე, მუდმივ კომისიებში, საარჩევნო ოლქებში, გააფართოონ და განამტკიცონ მათი კავშირი მოსახლეობასთან საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედ ორგანოებთან, ყველაფერი იღონონ, რომ თითოეული სახალხო რჩეული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის აქტიური გამტარებელი იყოს და თავისი საქმიანობით ხელს უწყობდეს საბჭოთა ცხოვრების წესის ნორმების დამკვიდრებას, მასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის განვითარებას;

უზრუნველყონ ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად საბჭოების, მათი დეპუტატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, ჩააბან ამ მუშაობაში საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივები, ფართო საზოგადოებრიობა;

თანამიმდევრულად გააუმჯობესონ საბჭოებსა და მათდამი დაქვემდებარებულ ორგანოებში მოქალაქეთა წერილებისა და განცხადებების განხილვა, აამაღლონ ხელმძღვანელთა და სხვა თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მშრომელთა მიერ აღძრული საკითხების დროული და სწორი გადაწყვეტისათვის, შეურიგებლად მოეკიდონ ბიუროკრატიზმის, ადამიანის, მისი საჭიროებებისა და სამართლიანი მოთხოვნების მიმართ უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო განმტკიცდეს საბჭოთა კანონიერება და მართლწესრიგი; მთელი ძალ-ღონე მოახმარონ ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული ისეთი მახინჯი მოვლენების აღმოფხვრას, როგორიც არის მომხვეჭელობა და მექრთამეობა, უყაირათობა და მფლანგველობა, ლოთობა, ხულიგნობა და მუქთახორობა, შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები, აამაღლონ ამ საქმეში სახალხო კონტროლის ორგანოების, სამართალდამცველი ორგანოების, საბჭოების აღმასკომებთან არსებული შესაბამისი კომისიების, ამხანაგური სასამართლოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოების როლი; გააძლიერონ კონტროლი საბჭოთა კანონმდებლობის ზუსტი და განუხრელი განხორციელებისადმი, უფრო აქტიურად გააჩაღონ სამართლებრივი პროპაგანდა და სამართლებრივი აღზრდა, რომელიც მოსახლეობას შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

გაზეთ „იზვესტიისა“ და ჟურნალ „სოვეტი ნაროდნიხ დეპუტატოვის“ რედაქციებს წინადადება მიეცათ უფრო ღრმად გააშუქონ საბჭოების პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გამოცდილება, უფრო ხშირად გამოაქვეყნონ მასალები მორალის, ოჯახისა და სკოლის, სამართლებრივი აღზრდის, თავისუფალი დროის გონივრული და სასარგებლო გამოყენების თემაზე, რეგულარულად ბეჭდონ მშრომელთა წერილები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, განიხილონ საზოგადოებრიობის განვითარების აქტიური პრობლემები მკითხველთა ფართო წრის მონაწილეობით; მიაღწიონ თავიანთი გამოსვლების ქმედითობას;

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები მთელ თავიანთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითსა და კულტურულ-მასობრივ მუშაობაში უნდა ხელმძღვანელობდნენ იმ ლენინური მითითებით, რომ სოციალისტური სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით და საბჭოთა დემოკრატია ნაცადი საშუალებაა იმისა, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს თითოეული მოქალაქის აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია და მონაწილეობა სახელმწიფოს საქმეებში, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, კომუნისტურ მშენებლობაში.

უხვი, ყუათიანი

(დასასრული)

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ხაბეიშვილი.

ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. ეცადაშვილმა.

გვალვებმა სერიოზული სიძნელეები შეუქმნა საკვებმწარმოებლებს, ითქვა თათბირზე. ბუნების ჭირვეულობის გამო საგარეჯოს რაიონში 3110 ჰექტარი მრავალწლოვანი ბალახების ნათესებიდან 2946 ჰექტარი დაკნინებულია; ზოგ რაიონში, მაგალითად, ახალქალაქში, ყვარელში, გარდაბანში, ბოლნისში, დუშეთსა და სხვაგან, ჯერაც არ დაუმთავრებიათ საკვები კულტურების თესვა. აგროვადების დარღვევით დაითესა შვრია სიღნაღის და გარდაბნის რაიონებში. ხაშურის რაიონის ფლევის, ალის, ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობებში ძლიერ გაჭიანურდა საკვები ჭარხლის ნათესების პირველი დამუშავება. ბევრ რაიონში სენაჟის ჩადების ტექნოლოგია ირღვევა. შეუწყნარებელია, რომ ახლა, როცა მოსავლის შენარჩუნებასა და გადიდებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რწყვას, სამისო ძვირადღირებული ტექნიკა მოუწესრიგებელია ახმეტის, თელავის, ქარელის, ხაშურის, გორისა და სხვა რაიონებში.

საკვებმოპოვების, საკვებწარმოების მიმდინარეობის, ამ დარგში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის საკითხზე ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის ლენინგორის, დმანისის, გარდაბნის, ხაშურის, ჯავის რაიკომების პირველმა მდივნებმა ნ. ოდიშვილმა, გ. ყულჯანიშვილმა, გ. კვანტალიანმა, ჯ. ბედუკაძემ, ვ. ჩოჩიევმა, სიღნაღის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. გოგინაშვილმა, ახალციხის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ე. ხითარიშვილმა, პარტიის ახალქალაქის რაიკომის მეორე მდივანმა ზ. გოგოლაძემ, „საქსახსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ დ. სარიშვილმა, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა გ. გადელიამ.

თათბირი შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი.

მასპინძლებმა, ზოოვეტერინალური ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა სასწავლო-საცდელ მეურნეობაში თათბირის მონაწილეებს უჩვენეს მწვანე მასის აღების და სენაჟის ჩადების თანამედროვე ტექნოლოგია.

ჩვენ გარდაბნის თათბირის ზოგიერთ მონაწილეს ვთხოვეთ ეთქვათ, თუ რა კეთდება მათ რაიონებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების პასუხად.

ა. ბარისაშვილი,

საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი

— რაიონის თითოეული საწარმო და დაწესებულება, თითოეული მშრომელი და მოსწავლე ახალგაზრდა გულისყურით მოეკიდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს, რომელიც მოგვიწოდებს აქტიური მონაწილეობა მივიღოთ საკვების წარმოების და დამზადების ზრდისათვის გაჩაღებულ კამპანიაში.

შევქმენით საკვებმომპოვებელთა ბრიგადები, რომლებშიც გაერთიანებულია 12 მექანიზებული რგოლი. მათ განკარგულებაშია 400-მდე სათიბელა, კომბაინი, ფოცხამკრეფი, ამკრეფი-საწნეხი, სატრაქტორო მისაბმელი და ავტომანქანა.

იონჯის პირველი ნათიბი ჰექტარზე საშუალოდ ორას ცენტნერს აღემატება. უკვე დასენაჟებულია 2000 ტონა მწვანე მასა, დამზადებულია 80 ტონა ბალახის ფხვნილი.

რაიონის საკვებმომპოვებელთა გადაწყვეტილებაა გეგმის გადამეტებით დაამზადონ 1200 ტონა სენაჟი, ათასი ტონა თივა, 800 ტონა სილოსი და 200 ტონა საკვები ძირხვენები.

ე. ხითარიშვილი,

ახალციხის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი

— საკვების წარმოებისა და დამზადების საქმეს ოპერატიულად ხელმძღვანელობს რაიონული შტაბი, რომელსაც პარტიის რაიკომის პირველი მდივანი მეთაურობს. 200 ჰექტარის გადამეტებით შევასრულეთ საკვები კულტურების თესვის გეგმა. ეს კი იმის საფუძველია, რომ გეგმით გათვალისწინებულზე 4000 ტონით მეტ უხეშ საკვებს დავამზადებთ.

საკვები კულტურებისათვის განკუთვნილი ფართობების მზრალად ხვნამ, თესვამდე სასუქების შეტანამ, კონდიციურმა თესლმა, შემდეგ კი ნათესებში აზოტიანი სასუქების შეტანამ ბალახის უხვი მოსავალი უზრუნველყო.

სულ მალე მწვანე მასის აღებას შეუდგება 156 საკვებმომპოვებელი მექანიზებული ბრიგადა და რგოლი, მათთან ერთად საკვების დამზადებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ არასასოფლო-სამეურნეო საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლეები, რათა რაიონში დამზადდეს პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგი.

ვ. კასრაძე,
გ. დუდუჩავა,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ხუთწლედების სიქათე

ინდუსტრიული ქუთაისის ნაბიჯები

მრგვალ მაგიდასთან არიან შრომის ვეტერანები

რაც დრო გადის, მით უფრო დიდებულად წარმოგვიდგება პირველი ხუთწლედის წლები. პირველმა ხუთწლიანმა გეგმამ განვითარების ახალი პერსპექტივები გადაუშალა ქუთაისს. იგი მისი ცხოვრების ისტორიაში შევიდა, როგორც თანამედროვე ინდუსტრიულ ქალაქად გადაქცევის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი.

გაზეთ „კომუნისტისა“ და საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ორგანიზაციის ლენინის რაიონული კომიტეტის მიერ მოწყობილ მრგვალ მაგიდასთან შეიკრიბნენ შრომის ვეტერანები, პირველი ხუთწლედის გმირები. მათ ერთხელ კიდევ დიდი სიყვარულით მოიგონეს პირველი ხუთწლედის დაუვიწყარი დღეები.

გთავაზობთ შრომის ვეტერანთა მოგონებებს.

ტარასი გვარამაძე,

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერი

მაშინ, ჩემი ჭაბუკობის პერიოდში, პირდაპირ ვოცნებობდი მოვხვედრილიყავი მაუდის ფაბრიკაში, იმ ფაბრიკაში, რომლის მოწყობილობაც ვ. ი. ლენინის ინიციატივით რუსეთის პროლეტარიატმა საქართველოს მუშათა კლასს უსაჩუქრა.

სურვილი ამისრულდა. პირველი ხუთწლედის პირველსავე დღეებში ფაბრიკის სახელოვან მუშათა რიგებში მიმიღეს, მას შემდეგ ხუთი ათეული წელი გავიდა, მაგრამ ჩემი ცხოვრება ამ ფაბრიკის გარეშე დღესაც ვერ წარმომიდგენია. ახლაც აქ ვარ, საჩეჩ განყოფილებაში უფროს ოსტატად ვმუშაობ.

პირველმა ხუთწლიანმა გეგმამ ქუთაისელ მშრომელებში, კერძოდ, მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებში დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის ყალიბდებოდა დამკვრელი ბრიგადები, ფართოდ ინერგებოდა შემხვედრი გეგმებისა და ეგრეთწოდებული „საზოგადოებრივი ბუქსირის“ პრაქტიკა. ჩემს გვერდით მაშინ იყვნენ ახლა უკვე სახელგანთქმული მემაუდეები მთავარი მექანიკოსი ლ. გინძეხაძე, სართავი წარმოების უფროსი შ. კაპანაძე, საჩეჩი განყოფილების უფროსი ოსტატი რ. თევზაძე, ქვეოსტატი ვ. გოთონელია, მქსოველი ი. ქილარჯიანი და სხვები.

— 120 ათასი და 5 ათასი! — ამ ორი ციფრით ნათლად არის გამოხატული ის უდიდესი ცვლილებები, რომლებიც ხუთწლედების მანძილზე მაუდის ფაბრიკაში მოხდა. პირველი ციფრი გვიჩვენებს, თუ რამდენი გრძივი მეტრი ქსოვილი გამოუშვა მან მთლიანად 1928 წელს, ხოლო მეორე — რამდენს იძლევა ახლა იგი მხოლოდ დღე-ღამეში.

ვალერიან ლალიაშვილი,

საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი

რიონჰესის მშენებლობას საფუძველი 1927 წლის 28 ივნისს ჩაეყარა. ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. მიტინგს საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე მიხეილ კალინინი ესწრებოდა. მან მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. მშენებლობამ განსაკუთრებით მძლავრი გაქანება მიიღო პირველი ხუთწლედის წლებში. განსაკუთრებით გაითქვა სახელი ი. ობოლაძის ბრიგადამ. ი. ობოლაძემ გვირაბში 1929 წელს ჯერ მებიგედ დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი ჩამოაყალიბა კომკავშირული ბრიგადა, რომელმაც მაღალი შრომითი მაჩვენებლებით დიდი პოპულარობა მოიპოვა. გეგმით ყოველ მუშას ცვლაში 0,7 კუბური მეტრი გრუნტი უნდა მოენგრია, ბრიგადის წევრები კი ერთ-ნახევარ კუბურ მეტრს ანგრევდნენ. ამიტომაც იყო, რომ ბრიგადას მშენებლობაზე პირველს მიენიჭა დამკვრელის საპატიო წოდება.

რიონჰესის მშენებლობის სახელოვანი მუშა-მებიგე გახლდათ ალექსანდრე თევდორეს ძე ფედოროვი. იგი დღიურ დავალებას 140-150 პროცენტით ასრულებდა. მშენებლობის დამთავრების შემდეგ უკრაინაში პასუხსაგებ პარტიულ პოსტზე იყო, დიდი სამამულო ომის დროს კი პარტიზანულ რაზმებს ხელმძღვანელობდა. ა. ფედოროვი ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

ბევრი ასეთი სახელოვანი ადამიანი შრომობდა რიონჰესში. წრთობა აქ მიიღო და შემდგომში თავი გამოიჩინა საერთო-სახალხო საქმეში, თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებაში.

პირველი ხუთწლედის ბოლოს — 1933 წელს რიონზე 48 ათასი კილოვატი სიმძლავრის მხოლოდ ერთი ჰიდროელექტროსადგური იყო, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა თავის წინამორბედ ზაჰესს და 1934 წელს 104 მილიონი კილოვატსაათი ენერგია გამოუშვა.

ახლა უკვე მდინარე რიონზე 206 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ხუთი სადგურისაგან შემდგარი მთელი კასკადია აგებული, რომელიც რიონჰესის გარდა გუმათისა და ვარციხის პირველსა და მეორე ჰესებს აერთიანებს. 1978 წელს კასკადმა 890 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ენერგია გამოიმუშავა.

ასე შეიქმნა მძლავრი ენერგეტიკული ბაზა ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს [illegible] სამრეწველო ცენტრის ინდუსტრიის განვითარებისათვის.

აკაკი ნამჩევაძე,

სკკპ წევრი 1917 წლიდან, პერსონალური პენსიონერი

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წარმატებით განხორციელებაში ქუთაისის მშრომელებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს. პირველი კოლმეურნეობა ჩვენს მაზრაში 1928 წელს შეიქმნა სოფელ პატრიკეთში. იმხანად მეც იქ ვცხოვრობდი. მომდევნო წლიდან საკოლმეურნეო მოძრაობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტმა, სხვა ღონისძიებებთან ერთად, აგიტკოლონები (ბრიგადები) შექმნა და ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულ სოფლებში დაგზავნა. აგიტკოლონის წევრები სოფლის მოსახლეობას ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს განუმარტავდნენ, პრაქტიკულად ეხმარებოდნენ ადგილობრივ მუშაკებს კოლმეურნეობების ჩამოყალიბებაში. მათ თან ახლდნენ აგრონომები, ტექნიკოსები, ვეტექიმები, რომლებიც რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ გლეხებს, ეხმარებოდნენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთებაში, აწყობდნენ მხატვრულ საღამოებს. თავის მხრივ გლეხობა მასობრივად გადიოდა სამუშაოდ ქალაქად გაჩაღებულ მშენებლობებზე.

პეტრე გურეშიძე,

სკკპ წევრი 1930 წლიდან, „საქგუმბრინის“ მალაროთსამმართველოს ყოფილი მუშა, პერსონალური პენსიონერი

ჩვენში გუმბრინის მოპოვება და მისი სამრეწველო წარმოება აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელთან არის დაკავშირებული. იგი ჯერ კიდევ 1916 წელს დაინტერესებულა ეგრეთ წოდებული თავსაბანი მიწით, რომელიც გუმბრელ გლეხს დიმიტრი სინაურიძეს ურმით ჩამოუტანია გასასყიდად ქუთაისის ბაზარში.

ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს [illegible] ნავთობის მრეწველობისათვის აუცილებელი მათეთრებელი თიხის [illegible] ფლორიდის შტატიდან შემოჰქონდათ. და აი, დღის წესრიგში დაისვა გუმბრინის ადგილზე წარმოების საკითხი. მე წილად მხვდა ბედნიერება 1928 წელს თანასოფლელებთან ირაკლი და სოკრატ გურეშიძეებთან, ერმილე სინაურიძესთან ერთად პირველი ბარი დამეკრა გუმბრინის მოსაპოვებლად. თავდაპირველად ამოვიღეთ 1500 ფუთი გუმბრინი, რომელიც ქუთაისში ურმებით გადავზიდეთ და შემდეგ ბათუმში გავგზავნეთ შესამოწმებლად.

თუ წინათ გუმბრინს ხელით ანგრევდნენ, გამწევი ძალით გამოჰქონდათ, ამტვრევდნენ და ნახევარფაბრიკატის სახით გზავნიდნენ, ახლა მისი მოპოვება, გამოტანა, დამუშავება და შეფუთვა მთლიანად მექანიზებულია და წლევანდელიდან მზა ნაწარმს დაფქულს უშვებენ. რამდენად გაიზარდა გუმბრინის წარმოება, ამას უკანასკნელი ათწლეულის მონაცემებიც ნათლად ადასტურებს: თუ 1970 წელს წარმოებამ დაამზადა 89.185 ტონა ნატეხი და 38.600 ტონა დაფქული გუმბრინი, შარშან სამთოქიმიელებმა გამოუშვეს 25 ათასი ტონა ნატეხი და 70.400 ტონა მზაპროდუქცია, ისინი წელს ქვეყანას სულ 90 ათასამდე ტონა დაფქულ გუმბრინს მიაწვდიან, მეათე ხუთწლედის დამლევისათვის კი 100 ათას ტონას გადააჭარბებენ.

ვლადიმერ ტყაგლაძე,

სკკპ წევრი 1920 წლიდან, პერსონალური პენსიონერი

1929 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მობილიზაციით სამხრეთ ოსეთში გამგზავნეს ცხინვალის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ კი 1931 წლის ნოემბრიდან ქუთაისის აბრეშუმის მექანიკური საქსოვი ფაბრიკის დირექტორად ვმუშაობდი. ეს ფაბრიკა ადგილობრივ მრეწველობას ეკუთვნოდა. კარგად მახსოვს, როცა ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა აბრეშუმის მრეწველობას. მისი პირველი კადრები სწორედ ჩვენს ფაბრიკაში მომზადდნენ.

აბრეშუმის კომბინატის ისტორიაში დაუვიწყარია 1933 წლის 7 ნოემბერი. იმ დღეს დებმა ლიდა და შურა ახალაძეებმა ოთხი ქსელი გაამზადეს და დგიმ-სავარცხელში მისი გატარება დაიწყეს.

დღითიდღე იზრდება საწარმოს აღჭურვილობა. დაზგების 80 პროცენტი ახალია, იზრდება პროდუქციის გამოშვება.

ამას წინათ ზეიმით აღინიშნა აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს 50-ე წლისთავი. ქუთაისელ ფეიქართა სიხარული კიროვობადელმა, ლენინაკანელმა თანამოძმეებმაც გაიზიარეს.

თუ 1928 წელს რესპუბლიკის აბრეშუმის მრეწველობამ 59.400 გრძივი მეტრი მზა ნაწარმი დაამზადა, შარშან მხოლოდ ქუთაისის აბრეშუმის სამრეწველო გაერთიანებამ 29 მილიონ 262 ათასი მეტრი ქსოვილი გამოუშვა.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა გაიხსენეს და ცოცხლად აღადგინეს რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის ხუთწლედების ისტორიის ზოგიერთი მივიწყებული სურათი.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: პირველი ხუთწლედის ქუთაისელ მონაწილეთა ერთი ჯგუფი.
ბ. მაღლაფერიძის ფოტო.

დიდი ეროვნული საქმე

ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა პირველი რესპუბლიკური სესია

წელს მაისში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორმა, რომელიც სამ განყოფილებას მოიცავს (საქართველოს და კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებები, ანთროპოლოგიის განყოფილება), გამართა 1978 წელს ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებამ, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კონკრეტულ სოციოლოგიური კვლევა-ძიებათა განყოფილებამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრამ, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმისა და ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტმა, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა.

ამგვარი სესია ჩვენს რესპუბლიკაში პირველად გაიმართა. იგი თავისი მიზნებით და სტრუქტურით იმეორებს ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა სესიებს, რომლებიც ყოველწლიურად იმართება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. ჩვენი რესპუბლიკის ეთნოგრაფები და ანთროპოლოგები ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც საინსტიტუტო და რესპუბლიკათაშორისო, ისე საკავშირო თუ საერთაშორისო შეკრებებში, რამაც ნიადაგი მოუმზადა რესპუბლიკის ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა სესიების რეგულარულ მოწყობას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეთნოგრაფიული მუშაობა ფართოდ არის გაშლილი საქართველოს ყველა კუთხეში, რაც განსაკუთრებით აქტუალურს ხდის ამ სამუშაოს კოორდინაციას მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სპეციალისტთა პერიოდულ შეკრებას, საჭირბოროტო საკითხების კოლექტიურ განხილვას, რის საუკეთესო ფორმად ზემოხსენებული სესია უნდა ჩაითვალოს.

სესიის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს შეადგენდა თეორიული საკითხების გაშუქება, რომლებიც ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის და ტრადიციული ნორმების სფეროს მოიცავს, რადგან ჩვენს თანამედროვეობაში ხშირად შეიმჩნევა განსხვავება მატერიალურსა და კულტურულ დონეებს შორის, როცა თანამედროვე ეკონომიკა, კომუნიკაციის საშუალებები და ა. შ. ემსახურება დრომოჭმულ, ცრურწმენებზე დაფუძნებულსა და მანკიერ სოციალურ გარემოში გააქტიურებულ, ფუნქციაგამოცლილ და სახეშეცვლილ ტრადიციებს. ასეთი მოვლენები ხელს უშლის და ეწინააღმდეგება ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში ახალის, პროგრესულის და ზნეობრივად გამართლებულის დანერგვას. ამავე დროს გასათვალისწინებელია ტრადიციების ბუნება, მისი ხალხურობა და მისწრაფება გასაგები და პოპულარული იდეისადმი. ახალი წესების დანერგვის პროცესში უთუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს ზემოხსენებულ ფაქტორებს, რადგან მათი გამოყენება თანდათანობით ჩაუყრის საფუძველს ტრადიციათა ისეთი ფორმების ჩამოყალიბებას, რომლებიც შედარებით მოკლე დროში დაიჭერენ ძველისა და დრომოჭმულის ადგილს. ამასთანავე შენარჩუნებული იქნება ეროვნული კოლორიტი და ტრადიციული ფორმა.

დრომოჭმული ტრადიციების მოტანილ ზიანს კარგად ამჩნევდნენ ჯერ კიდევ XIX საუკუნის მოღვაწენი და ებრძოდნენ კიდეც მათ, მაგრამ სადღეისოდ ამ ბრძოლის ბუნება და კულტურულ-სოციალური საფუძველი სრულიად განსხვავდება ძველისაგან და მეტ აქტიურობას მოითხოვს, რაც ასე ნათლად აისახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბრის დადგენილებაში მავნე ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

მავნე ტრადიციათა წინააღმდეგ ბრძოლა მნიშვნელოვან შედეგს ვერ მოიტანს, თუ არ იქნა შესწავლილი და გამოვლენილი ტრადიციათა მთელი სისტემა, თითოეული ტრადიციის ადგილი და ფუნქცია ამ სისტემაში. თუ ტრადიციათა ერთი ნაწილი პრაქტიკულად მავნეა თანამედროვე ცხოვრების ნორმებისათვის, მეორე მხრივ, იგი მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა, რადგან შექმნილია გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში და შეიცავს საინტერესო ინფორმაციას მისი შემქმნელი საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეების დასახასიათებლად. ამდენად, ამ ტრადიციათა აღნუსხვა და კვლევა აუცილებელია, ისევე, როგორც იმ სოციალურ ფაქტორთა გამომზეურება, რომელთა ნიადაგზე ინარჩუნებს არსებობას ასეთი გადმონაშთი. ყოველივე ამის ფიქსირებისა და შესწავლისათვის აუცილებელია სამეცნიერო კრიტერიუმებზე დაფუძნებული სათანადო სპეციალური მეთოდი, რომელიც განაპირობებს მეცნიერებაში საკვლევად შემოტანილი მასალის ობიექტურობას და სამეცნიერო ღირებულებას. ასეთი, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული კვლევის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი ქართულ ეთნოგრაფიულ სკოლას კარგა ხანია აქვს და წარმატებითაც იყენებს, რაზედაც ცხადად მეტყველებს ამ სკოლის საყოველთაო აღიარება. ასეთ ვითარებაში სესიას დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

სესია გახსნა ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის გამგემ აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ, რომელმაც დაახასიათა მიმდინარე სესიის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა და მისი მომავალი პერსპექტივები. მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საველე მუშაობის დიდ მნიშვნელობას თანამედროვე პირობებში, ამ პროცესის სამეცნიერო და მეთოდურ სპეციფიკას, რაც მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას მოითხოვს. საველე და სამუზეუმო მასალის შეგროვება მან ფრიად საშურ საქმედ დასახა, რომელიც გადადებას ვერ ითმენს, რადგან ძველი ყოფის ამსახველი რეალიები ვერ უძლებენ თანამედროვე ტემპებს და სწრაფად ტოვებენ ისტორიის სარბიელს.

სესიაზე წაკითხულ იქნა 34 მოხსენება, რომლებიც მიეძღვნა სოციალურ-კულტურული, ეთნიკური თუ ისტორიული საკითხების კვლევის შედეგებს. აქედან განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა იმ კომპლექსურ ექსპედიციათა ანგარიშებს, რომლებიც გასულ, 1978 წელს მუშაობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სესიამ მოისმინა ანთროპოლოგიის განყოფილების ანგარიში, სადაც აღნიშნული იყო, რომ ქართველმა ანთროპოლოგებმა შარშან განახორციელეს დასავლეთ საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის გამოკვლევა. დერმატოგლიფიკური და ოდონტოლოგიური პროგრამით, მოიპოვეს ძვირფასი პალეოანთროპოლოგიური მასალა მცხეთის ტერიტორიიდან, ასევე თავის ქალები დასავლეთ საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რაიონებიდან. განყოფილების გამგე, პროფესორი მ. აბდუშელიშვილი ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის გაერთიანებულ ექსპედიციას, რომელმაც შეისწავლა ჩრდილოეთ ინდოეთის, პენჯაბის, რაჯასტანის და ჰიმაჩალ პრადეშის თანამედროვე მოსახლეობა. ექსპედიციის მუშაობის შედეგების შესახებ სესიას მოახსენა მისმა ხელმძღვანელმა.

სესიამ მოისმინა ივრის ხეობის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (ხელმძღვანელი — ჯ. სონღულაშვილი). ექსპედიცია მასალებს კრებდა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, ნასახლარების, მოსახლეობის შემადგენლობისა და ეთნიკური პროცესების, ტოპონიმიკის, მეურნეობის სხვადასხვა დარგის, შინამრეწველობის, საოჯახო და საზოგადო ყოფის, ხალხურ დღეობათა კალენდარის, ხალხური ხელოვნების შესახებ. აღწერილია ასამდე დღემდე უცნობი საკულტო ძეგლი, არქივს ჩაბარდა დიდი მოცულობის საველე მასალა, შესრულებულია მრავალი არქიტექტურული ანაზომი, ნახატი და ფოტო.

საექსპედიციო მუშაობის ანგარიში წარმოადგინა ეთნოგრაფიის სექტორის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ, რომლის მიერ მოწყობილ ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და საქართველოს მთიანეთის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციების (ხელმძღვანელი — ბ. გამყრელიძე) მიერ მოპოვებული მასალისა და მისი შედეგების შესახებ წაკითხულმა მოხსენებებმა თვალსაჩინოდ წარმოადგინეს შესრულებული სამუშაოს მოცულობა და სამეცნიერო ღირებულება. ექსპედიციები მასალას აგროვებდნენ მემინდვრეობის ფორმების, მესაქონლეობის, კოშკური კულტურის, სოფლის სტრუქტურისა და მმართველობის სისტემის, საქორწილო წეს-ჩვეულებების და სხვათა შესახებ. ახალ საველე მასალაზე დაყრდნობით განყოფილებამ წარმოადგინა მოხსენებები კავკასიის ხალხებში შრომის ორგანიზაციის ფორმებსა და სოციალური ისტორიის საკითხებზე.

მნიშვნელოვანი საველე სამუშაო ჩაატარა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებამ, რომელმაც წარმოადგინა სვანეთისა და გურიის ექსპედიციის შედეგები (ხელმძღვანელები — მ. ჩართოლანი და გ. ჯალაბაძე). ექსპედიციებმა ამ რაიონებში შეიძინეს მრავალი სამუზეუმო მნიშვნელობის ნივთი, მოპოვებული მასალის საფუძველზე დამუშავებულ იქნა თემები: სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობანი სვანეთში, სვანური ავეჯი და სხვა. საინტერესო შედეგები აქვს გურიის ექსპედიციასაც, სადაც შეისწავლეს შრომის ორგანიზაციის ფორმები, მიცვალებულის კულტი, ბავშვის აღზრდის ხალხური წესები და სხვა.

სესიაზე მოისმინეს გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის გ. ელიავას საანგარიშო მოხსენება. მან დაახასიათა ექსპედიციის მიზნები და შედეგები, დამსწრეთ გააცნო მოპოვებული მდიდარი მასალა. სესიამ მაღალი შეფასება მისცა გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობას და აღნიშნა, რომ იგი სანიმუშოდ ითვლება.

საინტერესო ანგარიში წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 1978 წლის კომპლექსურმა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ (ნ. კახიძე), რომელიც საველე მასალას კრებდა მესხეთ-ჯავახეთსა და აჭარაში. შეგროვილ იქნა მასალა აჭარის კოლმეურნეთა საზოგადო, საოჯახო და საწარმოო ყოფის შესახებ. მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა ხალხური ტრადიციების შესწავლის თვალსაზრისითაც, სადაც ეთნოგრაფიული და ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მასალა გროვდებოდა და მუშავდებოდა ფოლკლორის სპეციალისტებთან ერთად.

სესიამ განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინა აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლის, ეთნოგრაფ მ. ხაშბას მოხსენება, რომელიც შეეხებოდა აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის საინტერესო სფეროს, აფხაზთა საგმირო სიმღერებს. მოხსენებაში სათანადოდ იყო შეფასებული ამ ჟანრის თავისებურებანი, როგორც ისტორიულ-ფოლკლორული მოტივების ხალხური განხორციელება მუსიკაში, მისი სულიერი და კულტურული ღირებულება, განვითარების ეტაპები, ურთიერთკავშირი ანტიკური სამყაროსა და კავკასიის სხვა ხალხების მუსიკალურ ფოლკლორთან.

საინტერესო საკითხები გააშუქა თავის მოხსენებაში სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ლ. ჩიბიროვმა, რომელიც უკვე მრავალი წელია სწავლობს ხალხურ აგრარულ რწმენა-წარმოდგენებს. მისი მოხსენება შეეხებოდა კავკასიური და უძველესი ინდოევროპული კულტურების ურთიერთობის პრობლემებს, სადაც ავტორი ავლენს პარალელური მონაცემების მთელ რიგს.

გარდა საექსპედიციო ანგარიშებისა სესიამ მოისმინა მოხსენებები კონკრეტული პრობლემების გარშემო.

აღსანიშნავია პროფესორ მ. გეგეშიძის მოხსენება ტრადიციათა შესახებ, სადაც მიმოხილული იყო პრობლემის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები ეთნიკური ტრადიციებისა და გადმონაშთების ურთიერთმიმართების შესწავლის მიზნით, საყურადღებო საკითხები დაისვა ეთნიკური ადაპტაციისადმი მიძღვნილ მოხსენებებში.

მრავალი მოხსენება მიეძღვნა მატერიალური კულტურის საკითხებს, ამ მოხსენებებში რიგი პრობლემებისა ახლებურად იყო დასმული. მათი საბოლოო შესწავლა საინტერესო სამეცნიერო პერსპექტივებს შეიცავს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პროფესორ დ. ციციშვილის მოხსენებამ ხალხური რეწვის შესახებ, სადაც საკითხის ღრმა ცოდნით მიმოხილული იყო ხალხური რეწვის ისტორიული ფორმები, მისი თანამედროვე მდგომარეობა და შესაძლო პერსპექტივები. მოხსენებამ სესიის მონაწილეთა ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

ცხოველი ინტერესი გამოიწვია ნორჩ მხარეთმცოდნეთა აღმზრდელის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის ი. მიქელაძის გამოსვლამ, რომელმაც სესიას მოახსენა პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ისტორიკოს-მხარეთმცოდნეთა საზოგადოების — „ნორჩი მკვლევარის“ მუშაობის შესახებ. ამ საზოგადოებაში უკვე სამი ათეული წელია შექმნილია ეთნოგრაფიის სექცია — „ხალხური“, რომელიც მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ხელმძღვანელობს სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებში და სახლებში მოწყობილ თავის ფილიალებს, სექციებსა და წრეებს. საზოგადოება აქტიურ მოღვაწეობას ეწევა მოსწავლეთა შორის მხარეთმცოდნეობის, ეთნოგრაფიული მეცნიერების პოპულარიზაციისათვის.

ბოლოს სესიამ მოისმინა ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა დღის X საერთაშორისო კონგრესის დელეგატების, პროფესორ მ. აბდუშელიშვილის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატების გ. ჯავახიშვილის და ი. სურგულაძის ინფორმაცია-ანგარიში, მომხსენებლებმა სესიას მოახსენეს კონგრესის მუშაობის სხვადასხვა მხარის შესახებ, კერძოდ, გააცნეს პლენარული სხდომების, ცალკეული სიმპოზიუმების და სექციების თემატიკა, მოკლედ ისაუბრეს კონგრესზე წარმოდგენილი აქტუალური თეორიული პრობლემების შესახებ, მსმენელებს გააცნეს საბჭოთა მეცნიერების მნიშვნელოვანი წვლილი კონგრესის მუშაობაში და გაუზიარეს ამ დიდ სამეცნიერო შეკრებაში მონაწილეობით მიღებული შთაბეჭდილებები.

სესიის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის დირექციამ და პარტბიურომ, რამაც ხელი შეუწყო სესიის წარმატებას.

დასასრულს გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ეთნოგრაფიული მეცნიერების წამყვანმა სპეციალისტებმა: აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ, პროფესორებმა ა. რობაქიძემ, მ. გეგეშიძემ, მ. აბდუშელიშვილმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა გ. ჯალაბაძემ, ზ. გაგლოითმა და ლ. ჩიბიროვმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებმა ნ. ხაზარაძემ, ი. ჭყონიამ, ნ. კახიძემ, ზ. თანდილავამ, გ. ელიავამ, და სხვ.

სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი, რომლის თანახმად ასეთი შეკრებები ყოველწლიურად უნდა გაიმართოს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

უნდა ითქვას, რომ სესიამ მეცნიერული კონტაქტების განმტკიცების, მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა, რაც შესანიშნავად დადასტურდა სექტორის სახელზე დაწერილ შთაბეჭდილებებში, რომლებიც აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამხრეთ ოსეთიდან და გეგეჭკორიდან ჩამოსულმა მეცნიერებმა წარმოადგინეს.

ი. სურგულაძე,
რ. თოდუა,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომლები.

სამსახურებრივი მივლინების ანგარიში

3. მთის ჰაერი

სადღაც მადნის მთებში ფიქლის ნატეხს წავაწყდი. გლუვი და სარკესავით მოელვარე, მზეზე ათასფრად ციმციმებდა.

ზუსტად ასეთი ფიქალი ჩვენს მთებშიც გვხვდება. ყველგან ჩვენს მთებში, სადაც კი კაცი ცხოვრობს, ფიქლით არის გადახურული სახლები და ფიქლით არის ნაგები კერა. რბილი და ადვილად სათლელი, იგი მტკიცე და უტეხია ციხის გალავნებში თუ ბურჯებში.

იქ, ერცგებირგში — მადნის მთებში, ფიქალს ოდითგანვე იგივე როლი აკისრია, რაც ჩვენში. ამ მთიანი მხარის ქალაქებისა თუ სოფლების ფიქლის სახურავები მზეზე თვალს გვჭრიან, როგორც ერთი უზარმაზარი სარკე. არათუ სახურავები, საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების კედლებიც ფიქლით არის ნაგები. უზადოდ გათლილი და დახვეწილი ფიქალი ლაზათს მატებს სახლებს, არც კი გჯერა, რომ ეს ის ქვაა, უხვად რომ მოფანტულა ჩვენში ალპურ ფერდობებზე.

ეს ფიქლის ნატეხი ობერვიზენტალის — საავარაკო სოფლის გზაზე ვიპოვე. ჩემთვის ამ ქვაში ჩვენეული მთების მზე ენთო. ობერვიზენტალიც ბაკურიანს მაგონებდა, ფიხტელბერგის მთა კი კოხტა გორას.

როცა შორეულ ქვეყნებში ვმოგზაურობთ და რაღაც ახალს ვეძებთ, ხშირად ნაცნობ სურათებს გადავაწყდებით ხოლმე. სხვაობას ვეძიებთ და მსგავსებას ვპოულობთ. ეს ჩვენდაუნებურად ხდება, მაგრამ, ეტყობა, კაცი ასე ყოფილა მოწყობილი: სამშობლოს გრძნობა იმდენად ძლიერია მასში, რომ უცხო ქვეყნის სახეში ძვირფას ნაკვთებს ხედავს.

ფიხტელბერგის ძირას თავი მოეყარათ მოთხილამურეებს და მოგარაკეებს — ისეთსავე ჭრელს, დაუდგრომელსა და ხმაურიანს, როგორც ბაკურიანში. ილუზია იმდენად ძლიერი და სრული იყო, რომ ერთ ამხანაგს ლამის დავუძახე, ომარ-მეთქი! მაგრამ მას ომარი კი არა, კურტი ერქვა, მწვერვალზეც ერთი კი არა, ორი საბაგირო ადიოდა და უამრავ კიოსკში ალპური სუვენირების გახურებული ვაჭრობა იყო...

გული დამწყდა, სხვაობა რომ შევნიშნე.

რატომ ვწერ ამას? იმისთვის, რომ ვთქვა, ნეტავ, ბაკურიანშიც იყოს-მეთქი ბევრი საბაგირო და სუვენირების სავაჭრო კიოსკები? რომ ჩვენი კურორტების რესტორნებშიც ისეთსავე მაღალ დონეზე იყოს მომსახურება, როგორც ობერვიზენტალში? რა თქმა უნდა, მინდა, რომ იყოს ასე! მაგრამ შეუწყნარებლად მიმაჩნია საკითხის ესოდენ ზერელად დასმა.

ამ მოგზაურის ჩანაწერებს სხვა მიზანი აქვს და არც ვმალავ.

სემინარს, რომელზეც ჩვენ მიგვიწვიეს, ეწოდებოდა — „საზოგადოებრივი ინიციატივა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“. ობერვიზენტალის საბაგიროები, კაფეები, კიოსკები საზოგადოებრივი ინიციატივის შედეგია. ერფურტის შუასაუკუნეობრივი ანგერის ქუჩა, რომელიც მოსახლეობის დახმარებით და მისივე სახსრებით აღადგინეს, საზოგადოებრივი ინიციატივაა. საცხოვრებელი უბნის საყრდენი სარემონტო პუნქტი, ახალდაქორწინებულთათვის გადაკეთებული მანსარდები, მოხუცებულთათვის ბინების შეკეთება — ყოველივე ეს საზოგადოებრივი ინიციატივაა. ახლა ჩემთვის ეს აბსტრაქცია აღარ არის, — არამედ მეხსიერებაში ჩარჩენილი კონკრეტული ადამიანების სახეები და საქმეებია.

შორეული ქვეყნების სახეში ვეძებთ და ვპოულობთ ნაცნობ ნაკვთებს.

რამდენი რამ გამახსენდა უეცრად ამ მოგზაურობისას! გამახსენდა თელაველი ინჟინერი, რომელმაც, მრავალთა აზრით, გიჟურ საქმეს მოჰკიდა ხელი: ცივზე სამთო-სათხილამურო საბაგიროს აშენებს („აქ მარტამდე დევს თოვლი, კარგი სათხილამურო ადგილია“). მრავალი ადამიანისა და ორგანიზაციის დახმარებით, რომლებმაც ირწმუნეს მისი იდეა, იგი ჯიუტად ახორციელებს განზრახულს.

გამახსენდა საგარეჯოელი მშრომელების თაოსნობა, რომლებმაც სახსრების შეგროვება დაიწყეს ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღდგენა-დაცვისათვის...

...ქუთაისის სურათების გალერეა — მის ექსპოზიციას საფუძვლად დაედო ქალაქის საწარმოთა მიერ შეძენილი ნამუშევრები. ყოველი ესტამპი, ყოველი ტილო ეკუთვნის ამა თუ იმ ქარხანას, რომელმაც თავისი საკუთრება მთელ ქალაქს გადასცა.

...იმავე ქუთაისში ზეიმობენ ქუჩების დღეს, სალამოებს უწყობენ იმათ, რომელთა სახელსაც ეს ქუჩები ატარებენ. გმირთა ხსოვნა მკვიდრდება თანამედროვის შეგნებაში, როგორც მისი სულიერი ყოფიერების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი.

...გამახსენდა ჩემთვის ძვირფასი სახლი, რომელიც დიღმის მასივში დგას. იქ ჩვენი ჩასახლების წელს მეყოლა ვაჟი. იქიდან გავემგზავრე შორს, შორს მშობლიური ქალაქიდან და ყოველ წელს ოქტომბერში მეზობლები მიგზავნიდნენ მოწვევას კეთილმეზობლობის დღეობაზე, იკრიბებოდნენ ყველანი, ვინც ამ სახლში ცხოვრობდა და ცხოვრობს, საუბრობდნენ იმაზე, რაც ერთი წლის მანძილზე დამკვიდრდა „ჩვენ ეზოში“.

...თბილისში ყვავილების დღესასწაული იყო. ამ ტრადიციულმა, ყოველწლიურმა ზეიმმა წელს განსაკუთრებული შინაარსი შეიძინა. ერთ მშვენიერ დღეს დავინახეთ, რომ ქალაქში ძალზე გავმრავლდით, მაგრამ რაღაცა მოგვაკლდა კიდეც. იკლო ყოველივე ძველთბილისურმა, იმან, რითაც იგი ოდითგანვე გამოირჩეოდა ნებისმიერი სხვა ქალაქისაგან. თვითმოქმედებას უკლო თბილისელმა მოქალაქემ, რომელიც არასოდეს არ ყოფილა გულგრილი მშობლიური ადგილებისადმი. იკლო სიმწვანემ და ჩრდილმა — შემცირდა ბაღები და პარკები... დღევანდელმა ზეიმმა, რომელმაც დააგვირგვინა ათასობით ადამიანის მუყაითი შრომა, ქალაქს ჩრდილისა და სიგრილის ახალი კუნძულები რომ აჩუქეს, თითქოს აზომა საზოგადოებრივი ინიციატივის ახალი და უფრო მაღალი დონე.

ყოველ თაოსნობას კონკრეტული ადამიანის, ადამიანთა კონკრეტული ჯგუფების სახელი და სახე აქვს. მათ სახეში, ხასიათში, მოქმედების ყაიდაში არის რაღაც უჩინარი, რაც აერთიანებს მათ: მათ იციან, რისი შემძლენი არიან და, შეუძლიათ ყველაფერი, რაც იციან, და ეს თვისება მკაფიოდ გამოარჩევს მათ იმ ადამიანებისაგან, რომლებმაც მხოლოდ იციან, მაგრამ არაფერი ძალუძთ. ან, უფრო სწორად, სტერეოტიპის ინერციას დამონებულთ არ უნდათ, არ სურთ დაარღვიონ სტერეოტიპი. აქ დიდია ჩვეულების, უარყოფითი ფაქტორისადმი, ნეგატიური მოვლენისადმი მორჩილი ადაპტაციის ძალა, აქ გაბატონებულია აზრი: „რისთვის, რა საჭიროა? სულ ერთია, მაინც ვერაფერს ვერ შეცვლი“...

კაცი სასტუმროს ჰუჭყიან და მოუხერხებელ ნომერში შეასახლეს. რა საჭიროა პროტესტი? მაინც არაფერი არ გამოვა.

კაცი ავტობუსიდან გამოდის და ვიღაცისგან მოგონილი ბრიყვული ინსტრუქციის თანახმად, თავისი კეთილსინდისიერების დასამტკიცებლად ჯერ ზემოთ აიშვერს, შემდეგ კი ტროტუარზე აგდებს სამგზავრო ბილეთს, რა საჭიროა დავა ამ „წესის“ გამო? ამას ხომ უკვე დიდი ხანია შევეჩვიეთ...

უკვე დიდი ხანია ყველა მიეჩვია იმას, რომ შუადღისათვის თბილისის ულამაზესი მაგისტრალი ქალაქის საყოფაცხოვრებო ნარჩენების სანაგვედ იქცევა ხოლმე: სიგარეტის ნამწვები, დაჭმუჭნილი კოლოფები, გასახვევი ქაღალდის ნაფლეთები, ნაყინის გაჭყლეტილი ბრიკეტები...

ამ დღეებში შევნიშნე: რუსთაველის პროსპექტზე სავსებით სტუდენტური გარეგნობის ორი ქალიშვილი მოსეირნობდა და მზესუმზირას აკნაწუნებდა. ვიცი: მათ ვერ დატუქსავ, გონს ვერ მოიყვან იმით, რომ სადღაც ჩვენთან და ჩვენგან შორს ვიღაც წუხს თავისი სახლის წინ ქუჩის სისუფთავისათვის. მაგრამ მინდა ვუთხრა: აბსოლუტურად მცდარია აზრი, თითქოს ჩვენი კულტურის დონე მისი უმაღლესი მწვერვალებით — სვეტიცხოვლით ან „ვეფხისტყაოსნით“ განიზომებოდეს. აბსოლუტურად მცდარია ამ კულტურის შინაარსის განსაზღვრა მუზეუმების რაოდენობით და მეცნიერებათა დოქტორების რიცხვით — ჩვენ ანგარიში უნდა გავწიოთ იმ მოქალაქეთა რიცხვის მიხედვითაც, რომლებიც ფეხქვეშ არ იფურთხებიან და ტროტუარზე არ ისვრიან საფუთავი ქაღალდის ნაფლეთებს...

ჩემს კოლეგას, ადნის სააგენტოს მუშაკს ედვარდ კარპს ვკითხე, როგორ ებრძვით-მეთქი „მარადიულობის მოყვარულთ“, იმათ, ვინც თავის სახელს ტოვებს ძველი ტაძრებისა და ციხეების კედლებზე. იგი საერთოდ ვერ მიხვდა, რას ვეკითხებოდი.

...მაშასადამე, „ნეგატივისადმი ადაპტაციის“ სამწუხარო მოვლენის გამო სრულიად აუცილებელია გავერკვეთ საზოგადოებრივი ინიციატივის ზნეობრივ ბუნებაში. საჭიროა ვიმსჯელოთ ამაზე. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართული სემინარი ჩემთვის მხოლოდ საბაბია ამ თემაზე ჩასაფიქრებლად.

ერფურტის ობერბურგომისტრმა ჰაინც შაინპფლუგმა ჟურნალისტებთან საუბრისას თქვა:

— ქალაქი იზრდება, საქალაქო მეურნეობა რთულდება და შესაბამისად მრავლდება ჩვენი პრობლემებიც. ჩვენ ამ პრობლემებს ვწყვეტთ, მაგრამ მარტონი მთლიანად ვერ გადავწყვეტთ. ქალაქები მოქალაქეებისათვის არსებობს, და ამიტომ ლოგიკურია, რომ მოქალაქეებმა თავიანთი ნებით, შეგნებულად იკისრონ ჩვენი საზრუნავის ნაწილი.

მაშ ასე, თავიანთი ნებით...

თავიანთი ნება მძლავრი ნებაა. და ხშირად ის, ვინც ამ ნებით მოქმედებს, გზად აწყდება დამკვიდრებულ ჩვეულებას, დამკვიდრებულ გულგრილობას, რუტინასა და ცინიზმს! რა ხშირად დასცინიან მას ლვარძლიანად, დონ კიხოტს უწოდებენ, შეგნების „მოწამვლას“ აბრალებენ! ასეთ ადამიანებთან ყოფნისას სუნთქვა გიჭირს, როგორც მაღლა მთაში, სადაც ჰაერი გაიშვიათებულია და ყოველ ნაბიჯს ძალით დაძაბვა სჭირდება. მაგრამ, როცა მთის ატმოსფეროს შეეჩვევი, ყოველგვარი სხვა ჰაერი აუტანელი ხდება.

შევნიშნოთ ხოლმე ადამიანში ეს მისწრაფება სიმაღლისადმი, დავეხმაროთ ასვლაში, მხარი დავუჭიროთ!...

ერთმა კარგმა რუსმა მწერალმა თბილისის შესახებ თქვა: „იგი მაგონებს უზარმაზარ, შუშაბანდებითა და აივნებით გარშემორტყმულ სახლს, სადაც ყოველი სახლი თავისებური ქალაქია...“, დაე ყოველმა ჩვენგანმა, თბილისელმა, ჰკითხოს საკუთარ თავს: კარგი პატრონია თუ არა ამ სახლისა.

ქალაქ გერაში ერთმა კაცმა გამაოცა. ვერნერ მომეცს ეძახიან, ორმოცდაათიოდე წლისაა, მას მძლავრი ათლეტის ტანი და მეცნიერის დახვეწილი ინტელიგენტური სახე აქვს. რა თქმა უნდა, ამას არ გავუოცებივარ. ვერნერ მომეცი განაგებს რაღაც სპეციფიკურ კულინარულ დაწესებულებას, რომელსაც „ლუდის მღვიმეს“ უწოდებენ. მას არც თანაშემწენი ჰყავს და არც ოფიციანტები. თვითონ არის გამგეც, ოფიციანტიც და მზარეულიც. თქვენ თვალწინ აჭრის ხორცს, შეწვავს ტიურინგიულ მწვადს „იულომნისს“, მოგართმევთ ლუდს, ჯამში ჩაგისხამთ „აინტოპფის“ განთქმულ შეჭამანდს და თან განუწყვეტლივ გესაუბრებათ თავის კერძებზე. ყოველივე ამას გონებამახვილურად, იუმორით, მხიარულად და გულითადად შვრება, და ხარობს თქვენი სიხარულით. დავსძენ, რომ საღამოს მანძილზე იგი ამრიგად ასორმოცდაათ კაცს ემსახურება, რომ იგი ყოველდღე ასე მუშაობს, რომ „ლუდის მღვიმე“ სახელმწიფო საწარმოა....

— არ იღლებით?

— რა თქმა უნდა, ვიღლები, მაგრამ მე ხომ ჩემი ნებით ვმუშაობ. იმიტომ, რომ მომწონს. თანაც, კიდეც რომ მოვინდომო, ვერ წავალ — ხალხი არ გამიშვებს.

აი რა ყოფილა მთავარი: იმის შეგნება, რომ შენ სჭირდები საქმეს და ხალხს. აქედან მოდის ყველაფერი — შენი და სხვათა სიამოვნებისათვის მუშაობის სურვილიც, საკუთარი შრომის მნიშვნელობის გაგებაც, მისთვის საზეიმო ხასიათის მინიჭებაც.

ვერნერ მომეცამდე ქალაქში „მღვიმე“ არ ყოფილა. თუმცა იყო, მაგრამ სულ სხვაგვარი: ამ კაცის ინიციატივამ სახე უცვალა მას. სხვათა შორის, მას ეკუთვნის ასეთი ხუმრობა: „ახლა მე თქვენ ბერლინურ სოსისს გაგასინჯებთ, მერე ჩვენებურს, ტიურინგიულს მოგართმევთ, და თქვენ ნახავთ, რამდენად უფრო გემრიელია ჩვენებური“. ბერლინელებს არ სწყინთ, იცინიან — იციან, რომ მართალია. სხვათა შორის, მას შემოსავალიც რიგიანი აქვს. ესეც სამართლიანია: კარგი მუშაობისათვის არ გენანება ხელგაშლილობა.

— როდის ხურავთ, „მღვიმეს“?

— როცა ჩემთან განშორებას მოისურვებთ...

ჩვენ არ გვსურდა განშორება, მაგრამ წამოვდექით: კაცი დილას აქეთ ფეხზე ტრიალებს.

◆ ◆

„სტრიქონი მხოლოდ მაშინ ღირს წერად, როცა ღირს წაკითხვად“ — რა სწორი, მაგრამ შემაშფოთებელი აზრია!

ღირს თუ არა ეს სტრიქონები წაკითხვად?

მომავალ ოქტომბერში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ოცდაათი წელი უსრულდება. ჩემთან საუბარში მოგზაურობის ორგანიზატორებს არაერთხელ უთქვამთ: საერთო საქმისადმი სოციალისტური დამოკიდებულება რესპუბლიკის მოქალაქეებმა საბჭოთა ადამიანებისაგან ისწავლესო. სოციალური ინიციატივის თქვენეული გამოცდილება ახალი საზოგადოების აშენებაში გვეხმარებოდაო...

ქალაქ ბად-ბლანკენბურგში რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხნის ინჟინერმა, საზოგადოებრივი მოწოდებით ძველი სახლების სარემონტო ბრიგადის ხელმძღვანელმა კურტ ფოლორატმა მითხრა:

— მე საბჭოთა კავშირში მოგზაურობით დამაჯილდოვეს, ვოცნებობ თქვენს რესპუბლიკაში ჩამოვიდე, ეს დიდი საჩუქარი იქნება ჩემთვის!

განა არ ღირდა ამის დაწერა?

თ. მამალაძე,
საქინფორმის კორ.
სპეციალურად „კომუნისტისათვის“.

სარედაქციო მინაწერი

როცა სხვათა გამოცდილებაზე ვწერთ

„მთის ჰაერი“ მესამე, დამამთავრებელი წერილია ჟურნალისტ თეიმურაზ მამალაძის სამსახურებრივი მივლინების ანგარიშისა. წინა ორი წერილი — „ეგრეთ წოდებული წვრილმანი რემონტი“ და „რით მაყოფს ქალაქი“ ჩვენი გაზეთის 29 მაისისა და 1 ივნისის ნომრებში დაიბეჭდა.

ჟურნალისტმა სულ რამდენიმე დღე დაჰყო მოძმე სოციალისტურ ქვეყანაში — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. და აი, ერთგვარი ანგარიშით წარუდგა მკითხველს. თუმცა დაკვირვებული თვალი უთუოდ შეამჩნევდა, რომ ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულაც არ არის მოგზაურობის ანგარიში.

სხვის გამოცდილებას, რასაკვირველია, ნერგივით ვერ გადმორგავ, მაგრამ სხვისი გამოცდილება, თავისთავად საინტერესო, ნამდვილად იმიტომაც არის სასარგებლო, რომ გვეხმარება ბევრი რამ გავარკვიოთ, ჩვენი საკუთარი გამოცდილებისა, ნათელი მოვფინოთ ჩვენს მიდგომას საკუთარი აქტუალური და უპირველესი პრობლემებისადმი.

მხოლოდ და მხოლოდ ამ აზრით არის გამსჭვალული ეს წერილები.

მართლაც, რამდენი რამ შეიძლება ვისწავლოთ ჩვენი კარლ მარქსშტადტელი მეგობრებისაგან!

განა ცოტას შეგვძენს იქ შექმნილი საცხოვრებელი ფონდის რემონტისა და მისი მოვლის სახალხო საწარმოების, საყრდენი სარემონტო პუნქტებისა და სახლმმართველობათა მუშაობის გამოცდილება?

განა ყურადსაღები არ არის, როგორ აქცია ძიებამ, თამამმა აზროვნებამ, სოციალისტურმა საზრიანობამ პატარა ქალაქი მიულჰაუზენი დიდ ქალაქად? აქ წარმოშობილი ინიციატივა ხომ საერთო-სახალხო მოძრაობად იქცა, რომელსაც „ახალგაზრდობის ბედნიერება“ უწოდეს!..

როგორ მოხდა, რომ საკურორტო ქალაქ ბად-ბლანკენბურგის მდინარე სავსეა კალმახით და ქვაფენილზე ერთ ნაკუწ ქაღალდს, ერთ სიგარეტის ნამწვსაც კი ვერა ნახავთ?

აბა ახლა ობერვიზენტალური მომსახურება ნახეთ?

ერთი სიტყვით, ნამდვილად ღირს მთელი სიგრძე-სიგანით ჩავწვდეთ საზოგადოებრივი ინიციატივის იმ ჭეშმარიტად გოლიათურ ძალას, რომლის საშუალებითაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ესოდენ მრავალ სიკეთეს აღწევენ.

ამ წერილების ავტორთან საუბარში მოგზაურობის ორგანიზატორებს უთქვამთ: საერთო საქმისადმი სოციალისტური დამოკიდებულება რესპუბლიკის მოქალაქეებმა საბჭოთა ადამიანებისაგან ისწავლესო. სოციალური ინიციატივის თქვენეული გამოცდილება ახალი საზოგადოების აშენებაში გვეხმარებოდაო...

ეს მართლაც ასეა. მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ინიციატივა ყოველთვის აგრერიგად ვერ იმართება წელში. არცთუ იშვიათად შუა გზაში ვიცით გაჩერება, გაჩერებულთ კი სხვები გაგვისწრებენ ხოლმე. ასეა ამჯერადაც.

როცა ამ „სამსახურებრივი მივლინების ანგარიშის“ დასტამბვა გადავწყვიტეთ, ჩვენი უპირველესი მიზანი იყო მკითხველთა გულსა და გონებაში იმ კეთილი აზრის ანთება, ურომლისოდაც ვერც ერთ საზოგადოებრივად ღირებულ საქმეს თავს ვერ დავადგამთ.

საგულისხმოა, რომ „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება საგანგებოდ ითვალისწინებს, როგორ უნდა დავაინტერესოთ მილიონობით ადამიანი მოწინავე გამოცდილებით. დადგენილებაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ უნდა მივაღწიოთ იმ მასალების გამო პრაქტიკულ ღონისძიებათა სავალდებულო მიღებასა და გამოქვეყნებას, რომლებშიც გაშუქებულია მოწინავე გამოცდილება, რათა ყველგან დავნერგოთ იგი.

უწინარესად, ბუნებრივია, მეგობართა მისაბაძ გამოცდილებაზეა ლაპარაკი, მაგრამ უარი არ უნდა ვთქვათ არც სხვა, თუნდაც მოწინააღმდეგეთა ისეთ გამოცდილებაზე, რომელსაც აშკარა პრაქტიკული ღირებულება აქვს. ერთი სიტყვით, სამსახურებრივი მივლინების დროს, სოციალისტურ ქვეყნებში იქნება თუ კაპიტალისტურში, უყურადღებოდ არ უნდა გვრჩებოდეს არაფერი, რომლის გონივრული დანერგვაც ჩვენში სარგებლობას მოიტანდა.

და კიდევ ერთი რამ. ეს „ანგარიში“, ალბათ, ერთგვარად დააინტერესებს როგორც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში და ქალაქის საბჭოში, ისე ჩვენი რესპუბლიკის სხვა საქალაქო კომიტეტებსა და აღმასკომებში, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებში, ვინაიდან აქ აღძრული ბევრი საკითხი დიდად აწუხებს ყოველ ჩვენგანს. ამ საკითხთა შემოქმედებითად გადაწყვეტაზე კი ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი არაერთი ნამდვილად მოსაწონი ლოზუნგის ხორცშესხმა.

აი, მხოლოდ ასე უნდა შევხედოთ წინ წასულ მეგობართა გამოცდილებას, რადგან წინა კაცი უკანას ხიდია!

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

4 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ტიან ძინპეი და გადასცა შემდეგი სამახსოვრო ბარათი:

„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1979 წლის 5 მაისის სამახსოვრო ბარათი, რომელიც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1979 წლის 17 აპრილის ნოტის პასუხს წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირს მუდამ სურდა და სურს მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დაძაბულობის შენელებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების მიზნით. საბჭოთა მხარეს არაერთგზის განუცხადებია, რომ მზად არის სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეხვედრისათვის კერძოდ უმაღლეს დონეზეც.

საბჭოთა კავშირს ბევრჯერ წამოუყენებია კონკრეტული წინადადებანი შესაძლო მოლაპარაკების მიზნებისა და საგნის თაობაზე: 1969 და 1970 წლებში მისი წინადადება იყო სპეციალური სახელმწიფოთაშორისო აქტით გაეფორმებინათ მხარეთა ვალდებულებანი იმის შესახებ, რომ არ დაესხან თავს ერთმანეთს და არ გამოიყენონ არავითარი იარაღი, მათ შორის არც ბირთვული იარაღი; 1971 წელს — ხელი მოეწერათ ხელშეკრულებისათვის ძალის გამოუყენებლობის შესახებ; 1973 წელს — დაედოთ თავდაუსხმელობის ხელშეკრულება; 1978 წელს — შეემუშავებინათ ერთობლივი დოკუმენტი სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთდამოკიდებულების პრინციპების შესახებ.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ თავის პრინციპული პოზიციით, კვლავ ადასტურებს, რომ მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

მოლაპარაკების მიზანი და ამოცანა უნდა იყოს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ნორმალიზაცია და გაუმჯობესება მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების, მათ შორის თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ძალის გამოუყენებლობის პრინციპების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირი, რომელიც დღენიადაგ და თანამიმდევრულად იბრძვის ჰეგემონიზმისა და ერთი რიგი სახელმწიფოების მიერ მეორეთა დამორჩილების პოლიტიკის წინააღმდეგ, საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე, რომ ორივე მხარე — სსრ კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შეთანხმდნენ არ ცნონ არავის პრეტენზიები მსოფლიო საქმეებში განსაკუთრებულ უფლებებსა თუ ჰეგემონიაზე და თავიანთ ურთიერთობას საფუძვლად დაუდონ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

მხარეთა მორიგება ამ საკითხებზე, თუ იგი მიღწეულ იქნა, უნდა ჩაიწეროს შესაბამის დოკუმენტში, რომელსაც შეიმუშავებენ და მიიღებენ მხარეები.

საბჭოთა მხარის წინადადებაა მოლაპარაკება მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში მოეწყოს ქალაქ მოსკოვში. მას მიზანშეწონილად მიაჩნია მოლაპარაკება აწარმოონ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების, ან ორი ქვეყნის მთავრობათა სპეციალური სრულუფლებიანი წარმომადგენლების დონეზე.

1979 წლის 4 ივნისი“.

საუბრის დროს ტიან ძინპეიმ განაცხადა, რომ სამახსოვრო ბარათს დაუყოვნებლივ გადასცემს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას.

საერთაშორისო ცხოვრება

დედამიწის ზურგზე

ეროვნული

პორტუგალიის კომპარტიის IX ყრილობა

კომუნისტთა ფორუმი დამთავრდა

ბარეირუ, 4 ივნისი. (საქდესი). აქ მუშაობა დაამთავრა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის IX ყრილობამ. აირჩიეს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ახალი შემადგენლობა. პორტუგალიის კომპარტიის გენერალური მდივანი კვლავ გახდა ალვარო კუნიალი.

დელეგატებმა მოიწონეს პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, ერთხმად მიიღეს პოლიტიკური რეზოლუცია. ამ უმნიშვნელოვანესმა დოკუმენტმა განსაზღვრა უახლოესი პერიოდისათვის კომუნისტთა საქმიანობის ამოცანები, დასახა ქვეყანაში გავრცელებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დაძლევის, რევოლუციური მონაპოვრებისა და დემოკრატიული წყობილების დაცვისა და განმტკიცების გზები.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ალვარო კუნიალმა.

ინტერნაციონალიზმის მიტინგი

ბარეირუ, 4 ივნისი. (საქდესის კორ.). აქ გაიმართა გრანდიოზული მიტინგი, რომელიც პორტუგალიის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის დამთავრებას მიეძღვნა. ყრილობის მონაწილენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ პრეზიდიუმში შემოსულ პორტუგალიის კომპარტიის ხელმძღვანელებს, ფორუმის სტუმრებს — 60-ზე მეტი ქვეყნის მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, პროგრესული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მიტინგმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ათიათასობით მშრომელმა, ცხადყო პორტუგალიის კომპარტიის მონოლითურობა, ხალხის მასებთან მისი განუხრელი კავშირი, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულება.

მიტინგის მონაწილეებს მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პორტუგალიის კომპარტიის IX ყრილობისადმი გულგრილი არავინ არ დარჩენილა, რადგან ეს იყო რევოლუციონერთა — იმ ადამიანთა ყრილობა, რომლებსაც სწამთ თავიანთი ქვეყნის მშვიდობიანი, დემოკრატიული, სოციალისტური მომავალი, და რომლებიც თავდადებით იბრძვიან ამ მომავლისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის, განაცხადა ორატორმა.

შეკავშირებული და პირდაპირი, მოღონიერებული, მეგობრებისა და მოკავშირეებისათვის ღია, უშიშარი ყოველგვარი სიძნელეების წინაშე — ასეთი წარუდგა თქვენი პარტია თავის ხალხსა და მთელ მსოფლიოს. ჩვენ თქვენი სტუმრები ვიყავით, მაგრამ ვამაყობთ პორტუგალიის კომპარტიით ისევე, თითქოს მისი სრულუფლებიანი წევრები ვიყოთ. თქვენი ყრილობა, ეს მიტინგი დღეს მოწმობს, რომ პორტუგალიის რევოლუცია ცოცხლობს! და ჩვენ მტკიცედ გვწამს: აპრილის რევოლუცია, რომელმაც უკვე გააკეთა უდიდესი საქმე, ისეთი, როგორიც დასავლეთის არც ერთ ქვეყანაში არ გაკეთებულა, მარად იცოცხლებს პორტუგალიის მუშათა კლასის, თქვენი შესანიშნავი კომუნისტური პარტიის მოღვაწეობასა და ბრძოლაში; თქვენმა პარტიამ დაიმსახურა მარქსისა და ენგელსის ძლევამოსილი საქმის მემკვიდრის ღირსეული წოდება.

მრავალათასიანი აუდიტორია ცხოველი ინტერესით უსმენდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურს, რომელმაც ილაპარაკა საბჭოთა კავშირში რეალური სოციალიზმის მიღწევებზე, სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკაზე, გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის, განიარაღებისათვის, ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ბრძოლაზე.

გვახარებს თქვენი ყრილობის წარმატება. ბედნიერი ვართ, რომ შეგვიძლია ამ მიტინგზე მივესალმოთ საერთო ამხანაგებს — ვიეტნამის, ანგოლისა და მოზამბიკის წარმოგზავნილებს, სხვა მოძმე ქვეყნებისა და პარტიების წარმომადგენლებს.

პორტუგალიის კომპარტიის IX ყრილობა, ბარეირუს ეს შთამბეჭდავი მიტინგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნის ხალხისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმისათვის კომუნისტური პარტიების არსებობა და საქმიანობა. ვერავინ ვერ ხელყოფს და გააქარწყლებს იმას, რაც თავიანთი ქვეყნების ცხოვრებაში, მთელი მსოფლიოს პროგრესში შეიტანეს კომუნისტებმა.

ნება გვიბოძეთ ჩვენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, ყველა საბჭოთა კომუნისტის სახელით მოგილოცოთ ყრილობის ბრწყინვალე წარმატება, ნება გვიბოძეთ გისურვოთ, რომ მთლიანად და ბოლომდე შეგესრულებინოთ მიღებული გადაწყვეტილებანი, ვულოცავთ თქვენი პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში არჩეულ ყველა ამხანაგს, დიდი პატივისცემის ნიშნად საგანგებოდ გვინდა მივესალმოთ ამხანაგ ალვარო კუნიალს, რომელიც ხელახლა აირჩიეს პორტუგალიის კომპარტიის გენერალურ მდივნად.

სანამ არიან ისეთი ადამიანები, როგორიც ამხანაგი კუნიალია, სანამ არის ისეთი პარტიები, როგორიც პორტუგალიის კომპარტიაა, მშვიდობისა და პროგრესის საქმე, სოციალიზმის საქმე ნამდვილად უძლეველი იქნება!

მიტინგის დასასრულს გამოვიდა პორტუგალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ა. კუნიალი. მან მადლობა გადაუხადა ყრილობის სტუმრებს პორტუგალიის რევოლუციის აქტიური საბრძოლო მხარდაჭერისათვის და ხაზი გაუსვა: ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ყოფილ კოლონიებში სოციალისტური ქვეყნების და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა მარტო ხსენებისათვისაც კი შეიძლებოდა საპატიმროში მოხვედრილიყავით, საბჭოთა კავშირში საიდუმლოდ ჩასვლისათვის ბევრი ჩვენი ამხანაგი მრავალი წელი იტანჯებოდა ტრაფალის სიკვდილის ბანაკში. ახლა ამ პარტიათა და მოძრაობათა წარმომადგენლები ჩვენთან, მიტინგის საპატიო სტუმრებს შორის არიან. ეს ჩვენი 1974 წლის 25 აპრილის რევოლუციის ერთ-ერთი მონაპოვარია. პორტუგალიელი კომუნისტები ყოველთვის იყვნენ და კვლავაც იქნებიან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულნი, განაცხადა ა. კუნიალმა.

დღევანდელ პორტუგალიაში, ხაზი გაუსვა დასასრულ ა. კუნიალმა, იზრდება ჩვენი კომპარტიის გავლენა და ავტორიტეტი.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე ყრილობაზე მყოფი ფრელიმოს (მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკა) პარტიის, ვიეტნამის კომპარტიის, მპლა-შრომის პარტიის (ანგოლის სახალხო რესპუბლიკა) დელეგაციები.

ვ. გოლენკოვი,
ს. სტაროსელსკი.

ნატოს წევრი ქვეყნები სამხრეთაფრიკელ რასისტებთან ერთად განაგრძობენ როდეზიის რეჟიმისათვის იარაღის მიწოდებას. ამას წინათ ზამბიის დედაქალაქ ლუსაკაში გამართულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს სხვა ქვეყნებში, აგრეთვე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დამზადებული იარაღის მრავალრიცხოვანი ნიმუშები. ეს საჭურველი ხელთ იგდეს დამოუკიდებელ ზამბიაზე რასისტთა და მათ დაქირავებულთა თავხედური თავდასხმის დროს.

სურათზე: გამოფენაზე.

საქდესის ფოტოქრონიკა.

„კომუნისტის“ საერთაშორისო მიმოხილვა

გასულ კვირას

● ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი უნგრეთში ● საბერძნეთი „საერთო ბაზრის“ მეათე წევრია.

დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ სოციალისტური თანამეგობრობა ჩვენი თანამედროვეობის ყველაზე ქმედითი და დინამიკური ძალაა. უდავოა ისიც, რომ სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა შეთანხმებული მოქმედების ეფექტიანობის ზრდის საქმეში წამყვან როლს ასრულებს პირადი კონტაქტები, უმაღლესი დონის შეხვედრები და მოლაპარაკებანი, რომელთა მსვლელობაშიც ზუსტდება და იხვეწება ერთიანი სტრატეგიული მიმართულება.

სწორედ ასეთი მნიშვნელობის მოვლენად აღიქვეს საერთაშორისო წრეებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში უკვე აღინიშნა, ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრის დროს ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირი და უნგრეთი, სხვა მოძმე ქვეყნებთან ერთად, კვლავაც ყველაფერს იღონებენ, რათა „დაამკვიდრონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მიანიჭონ ამ პროცესს შეუქცევადი ხასიათი“.

ამ დღეებში მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის ორგანოები, რომლებიც აშუქებენ უნგრეთის ტელევიზიით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლას, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ ერთხელ კიდევ მოუწოდა დასავლეთს საფუძვლიანად შეისწავლოს სოციალისტური ქვეყნების ბუდაპეშტის ინიციატივები. საერთაშორისო მიმომხილველებს ყურადღებიდან არ გამორჩენიათ არც ჩინეთის ხელმძღვანელთა მისამართით წარმოთქმული სიტყვები და, რაც მთავარია, კონსტრუქციული ტონი. სწორედ ამიტომ აღნიშნავდა ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, რომ ვიზიტის შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ორმხრივი ურთიერთობის, ისე, საერთაშორისო თვალსაზრისითაც.

„საბერძნეთი, „საერთო ბაზრის“ მეათე წევრი — ასეთი სათაურით ამ დღეებში მრავალი წერილი იბეჭდება ევროპულ პრესაში. გასულ კვირას ოფიციალურად გადაწყდა ქვეყნის შესვლა „საერთო ბაზარში“.

როგორც კი კ. კარამანლისი საბერძნეთის პრემიერად აირჩიეს, მან მაშინვე განაცხადა, რომ იგი არ დაელოდებოდა 1984 წელს, როდესაც, თანახმად 1961 წლის ხელშეკრულებისა, საბერძნეთი „საერთო ბაზარში“ უნდა მიეღოთ და ყველაფერს იღონებდა, რათა უფრო ადრე გამხდარიყო საბერძნეთი ამ გაერთიანების წევრი. კ. კარამანლისის აზრით, „საერთო ბაზრის“ წევრობა, ყველაფერთან ერთად, მის ქვეყანას იხსნის ისეთი პოლიტიკური ძვრებისაგან, რომლებსაც 1967 წელს შავ პოლკოვნიკთა რეჟიმი მოჰყვა. პრემიერის სტრატეგიულ გეზში ეკონომიკურ საკითხებს მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. გავიხსენოთ, რომ 1977 წლის საარჩევნო კამპანიის პერიოდშიც კარამანლისის მთავარ თემას „საერთო ბაზარში“ შესვლა წარმოადგენდა. უკვე კარგა ხანია, რაც საბერძნეთის ყოველ სამინისტროში შექმნილია სპეციალური განყოფილებები, რომლებიც „საერთო ბაზრის“ დირექტივებს სწავლობენ, იურისტები ადგენენ, ქვეყნის პარლამენტი კი ფორსირებული ტემპით ამტკიცებს სპეციალურ კანონებს.

საბერძნეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ როგორც კი ქვეყანა „საერთო ბაზრის“ წევრი გახდება, ავტომატურად განმტკიცდება მისი პოზიციები ეგეოსის ზღვისა და კვიპროსის საკითხის გამო თურქეთთან დავაში.

რაც შეეხება „საერთო ბაზარს“, მისთვის ხელმისაწვდომი გახდება საბერძნეთის მინერალური და წიაღისეული სიმდიდრენი, ხოლო როდესაც საბერძნეთის 53 მილიონი ტონა წყალწყვის სავაჭრო ფლოტი „საერთო ბაზრის“ სავაჭრო ფლოტს შეუერთდება, ამ უკანასკნელის განკარგულებაში იქნება მსოფლიო სავაჭრო ფლოტის 33 პროცენტი.

მაგრამ ყველა ასე როდი ფიქრობს საბერძნეთში. ქვეყნის კომუნისტურმა პარტიამ უკვე გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათლად არის დასაბუთებული „საერთო ბაზარში“ შესვლის უარყოფითი მომენტები. ამის წინააღმდეგია სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის ლიდერი ა. პაპანდრეუც, რომლის აზრით „საერთო ბაზარში“ შესვლა საბერძნეთს „ოფიციანტებისა და რესტორნების მფლობელთა“ ქვეყნად აქცევს.

ერთი რამ კი ყველასათვის ცხადია: მართალია, ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდის შემდეგ ქვეყანა „საერთო ბაზრისაგან“ ყოველწლიურად მიიღებს 275 მილიონ გირვანქა სტერლინგს, მაგრამ ეკონომიკის ძირითადი სექტორების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდება.

ამ რამდენიმე დღის წინ ინგლისური გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“ წერდა, რომ საბერძნეთი „საოცარი სიმშვიდით“ მიდის „საერთო ბაზრისაკენ“, მაშინ, როდესაც ინგლისში „საერთო ბაზარში“ შესვლიდან შვიდი წლის შემდეგაც არ შემწყდარა ცხარე კამათი. მართლაც, ჯერჯერობით არ არსებობს კარგად ორგანიზებული ოპოზიცია, მაგრამ რა სიტუაცია შეიქმნება, როდესაც ბერძენი ხალხი საკუთარ თავზე გამოსცდის „საერთო ბაზრის“ მთელ სიკეთეს?

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

რედაქტორის სვეტი



ალიარება

„პატივცემულო რედაქტორო!

მე ერთი ჩვეულებრივი მკითხველი და მაყურებელი ვარ. ამდენი ხანია, აგერ თითქმის სამი თვეა, ველოდები ქართულ პრესაში, განსაკუთრებით კი „კომუნისტში“ რეცენზიას ან, თუნდაც, სხვა რაიმე მასალას, მაგრამ ამაოდ. მე „დათა თუთაშხიაზე“ მოგახსენებთ!

ამ წიგნმა და წელს ამ ფილმმა, მთელი საქართველო გრგვინვით მოიარა. ყველა უდიდესი სიამოვნებით ნახულობდა და ყველა ლაპარაკობდა.

ჩვენი პრესა კი რატომ დუმს? განა ბევრი გვაქვს ასე ბრწყინვალედ დადგმული ფილმები? მე კრიტიკოსი არა ვარ და ფილმის გარჩევას არც ვაპირებ, მაგრამ ასეთი დიდი მოვლენა არსად არ მოვიხსენიოთ, ამის უფლება არ გვაქვს.

ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ. ამით უკმაყოფილონი ბევრნი არიან. ვის ველოდებით? ან რას? სანამ სხვები არ ალიარებენ?

გამოაქვეყნეთ ჩემი წერილი, რა თქმა უნდა, შეალამაზებთ ალბათ.

პატივისცემით

ცისანა ჯოხია,

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის სწავლული მდივანი.

19. IV. 1979 წ.“

● ●

პატივცემულო ცისანა!

იოლად შეამჩნევდით, რომ თქვენს წერილს მკითხველს შეულამაზებლად ვაწვდი. რადგან სიმართლეს შელამაზება არ სჭირდება მაშინაც კი, როცა იგი სიმართლე — საყვედურიანია. ხოლო თუ თქვენს წერილს რედაქტორის სვეტში ვათავსებ, არა მარტო მისამართისა გამო, არამედ იმიტომაც, რომ საჯარო იყოს სამართლიანი საყვედურის გაზიარება.

ხომ გაგიგონიათ: „ვინც ალიარა, იმან მოინანიაო“.

კომუნისტი

„თბილისის რკალი“ 3 VI 1979 წ.

„კოლმეურნის“ მესამე გამარჯვება

გაზეთ „კომუნისტის“ პრიზზე — კომბინირებული ამანათრბენი „თბილისის რკალი“



განვლილი კვირა დღე — 3 ივნისი გაზეთ „კომუნისტის“ დაბადების დღე იყო. და ტრადიციულად კვლავ გაიმართა კომბინირებული ამანათრბენი „თბილისის რკალი“, რომელზედაც „კომუნისტის“ გარდამავალი პრიზი თამაშდება. თბილისის სპორტკომიტეტმა რიგით მეშვიდედ ჩაატარა ეს შეჯიბრება.

ისევე, როგორც წინა წლებში, ამანთრბენს სტარტი მიეცა გაზეთ „კომუნისტის“ შენობასთან. პირველი ეტაპი („კომუნისტის“ შენობა — სასტუმრო „საქართველო“) მოიგო „ქარიშხალას“ პირველი გუნდის წარმომადგენელმა. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ დაწინაურდნენ „კოლმეურნის“ სპორტსმენები და მათ ინიციატივა ფინიშის სწორამდე შეინარჩუნეს. **ფინიშთან „კოლმეურნის“ პირველი გუნდი 30 წუთსა და 54 წამში მივიდა.**

„კოლმეურნის“ სპორტსმენებმა ორი გუნდის გამოსვლის ჯამითაც პირველობა იზეიმეს (1 საათი, 4 წუთი და 43 წამი). ეს იყო სოფლის სპორტსმენთა რიგით მესამე გამარჯვება და, ცხადია, გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი, სიგელები და თბილისის სპორტკომიტეტის ჯილდოებიც წილად „კოლმეურნის“ სპორტსმენებს ხვდათ. საერთოდ, როგორც წესი, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო (თავმჯდომარე ვ. ქლენტი) ყოველთვის გულდაგულ და ბეჯითად ემზადება ხოლმე კომბინირებულ ამანათრბენში მონაწილეობისათვის. წლევანდელ გამარჯვებაში სპორტსმენებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მთავარ მწვრთნელებს ო. ხერხეულიძეს (მძლეოსნობაში) და ნ. ტრეტიაკოვს (ველოსპორტში).

აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებული „კოლმეურნის“ გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: ე. გოლუტვინა, ა. კუდრიავცევი, ხ. მაევსკი, ე. პოლტორაკოვა, გ. შოშიაშვილი, შ. ნადირაძე, ა. ფხაკაძე, ს. ვაჰანია, ი. რთველიაშვილი, ი. ვარენიცა, ვ. სუარიძე, გ. ედილაშვილი, ლ. კიკლიაშვილი, ა. ხუხაშვილი, ს. ცხოვრებაძე, ლ. გუდაშვილი, ე. კენჭიაშვილი, მ. კენჭიაშვილი, რ. ალტუხოვა, ი. ჭელიძე და ო. წიკლაური.

გამარჯვებული კოლექტივის კაპიტანს ი. რთველიაშვილს კი 1980 წელს გაზეთი „კომუნისტი“ მთელი წლით უსასყიდლოდ გამოიწერება.

ფინიშთან მეორე იყო „ქარიშხალას“ პირველი გუნდი (31.12.0). მესამე ადგილი წილად ხვდა „სპარტაკის“ პირველ კოლექტივს (32,44,0). ორი გუნდის შედეგების ჯამით დინამოელები მეორე ადგილზე გამოვიდნენ (1:08.04,0), მესამეზე — სპარტაკელები (1:08,13,0).

ჯ. ენუქიძე.

სურათებზე: „კოლმეურნის“ ნაკრები; შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი.

ვ. გინზბურგისა და ა. კოტორაშვილის ფოტოები.

გაზეთ „კომუნისტის“ პრიზზე კომბინირებული ამანათრბენის („თბილისის რკალი“) კარგად მოწყობისა და ამ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის რედაქცია მადლობას უხდის თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ყირმელაშვილს, თავმჯდომარის მოადგილეს ო. კალაძეს, თბილისის სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს მძლეოსნობაში თ. ჯოხაძეს, მთავარ მსაჯს ვ. ვაშაკიძეს, მსაჯს შ. ათაბეგოვს, მსაჯ-ინფორმატორს ო. ლაკერბაის.

ქალაქის ქუჩებში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის რედაქცია მადლობას უხდის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის სამმართველოს ავტოინსპექციის უფროსს მაიორ გ. ცინცაძეს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო ზედამხედველობის ქვეგანაყოფის ხელმძღვანელებს მაიორ რ. ჩარგეიშვილს, პოდპოლკოვნიკ ნ. იაშვილს და პოდპოლკოვნიკ ბ. ცომაიას, ამ ქვეგანაყოფის მუშაკებს პოდპოლკოვნიკ ა. ტატიშვილს, მაიორ თ. ნადირაძეს, მაიორ ე. უზრეხელიძეს, კაპიტან ბ. ხაბურზანიას, უფროს ლეიტენანტ ზ. კიკნაძეს და ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამანათრბენის ორგანიზებულად წარმართვაში.

რას შეგვაგონებს დათა თუთაშხია?

ქართული საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო მოვლენა

მას შემდეგ, რაც მკითხველი პირველად გაეცნო ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ და რაც ამ რომანის საფუძველზე შექმნილი ფილმი საქართველოში მაყურებელთა სენსაციურმა რაოდენობამ ნახა, რომანი კიდევ ერთხელ იქცა განსჯის საგნად, ხოლო ფილმი — რომანთან შედარებისა და მის სააზროვნო სიტუაციებზე დაფიქრების სტიმულად.

ახლა უკვე არავის მიაჩნია სადავოდ, რომ რომანისა და ფილმის ასეთი წარმატება გამოიწვია არა დათა თუთაშხიას ფათერაკიანი თავგადასავლისადმი ინტერესმა, არამედ ამ თავგადასავლის ღრმად ეროვნულმა, ზოგადადამიანურმა და ფილოსოფიურმა მნიშვნელობამ. მკითხველისა და მაყურებლის თვალწინ ადამიანის თვითგაგების, თვითშემეცნებისა და თვითგარდაქმნის შემაძრწუნებელი ამბავი გათამაშდა.

რომანისა და ფილმის ამოსავალ იდეად ადამიანის ზნეობრივი, ეროვნული და კაცობრიული საზრისი იქცა. ამ ძიების გზა ულმობელი ექსპერიმენტების, ბეწვის ხიდზე გავლის, ჯოჯოხეთური განსაცდელისა და გოლგოთის გზაა.

ძალიან სჭირდებოდა და დიდხანს ელოდა ქართველი საზოგადოებრიობა თანამედროვეობის დონეზე ამ თვისებათა მატარებელ გმირს, გმირს, რომლის ხასიათსა და ამოცანებში, ხვედრსა და იდეაში ერთმანეთისაგან არ იქნებოდა გათიშული სიმართლის ძიების უნარი სიმართლის ღირსებით ტარების უნარისგან. როგორც არასდროს, ეტყობა, ისე მომწიფდა ლიტერატურულ ტრადიციებში გამოკვეთილი სიმართლის მაძიებლისა და სიმართლის განმასახიერებლის ერთ სახესა და ხასიათში შერწყმის იდეა.

„დათა თუთაშხია“ ამ მოთხოვნისა და სურვილის პასუხად დაიბადა. და დღეს, ქართულ მიწაზე დააბიჯებს ადამიანის სულის ულრმეს უფსკრულებში გაკვირვებული თვალებით ჩახედილი კაცი, რომელსაც იქიდან ადამიანთა სასიკეთოდ ანთებული გული და სიბრძნე ამოუტანია.

წიგნის წაკითხვის შემდეგ მაყურებელი უკვე შვიდი სერიის მანძილზე ადევნებდა თვალყურს ამ რაინდისა და მოძღვრის, მისანისა და ჯენტლმენის უშიშარ მოგზაურობას ადამიანის სულის, გონებისა და სოციალური პრაქტიკის ჯოჯოხეთურ ბილიკებზე.

მაგრამ ფილმის მაყურებელს, ისევე როგორც ამ რომანის წამკითხველს, არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდა, რომ ამ უხორცოსავით უშიშარ ადამიანს მოეძებნება ერთი „სისუსტე“, რომლის წინაშე შიშმაც ცხოვრების სწორედ ასეთნაირ გზაზე დააყენა იგი.

შიშის ყველა სახეობათა შორის ეს არის ყველაზე უფრო შემაძრწუნებელი გრძნობა, რომელიც მის საფუძველში გაურკვევლობის გამო შეიძლება იქცეს პიროვნების შინაგანი დათრგუნვისა და მოსპობის მიზეზად, ხოლო ამ საფუძველშივე ჩამარხული დადებითი საწყისების წარმოჩენის შემთხვევაში — მისი ბედნიერებისა და უკვდავების გარანტიად.

ასეთი შიში არა აქვთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც წამითაც არ დაფიქრებულან, თუ რა გამართლება ჰქონდა ამქვეყნად მათ მოვლინებას. ასეთი შიში იმ ადამიანების კუთვნილებაა, რომელთა წინაშეც მთელი სიღრმით დგება ქვეყნად მისი არსებობის, მიზნის, დანიშნულების ანუ კაცობრიული საზრისის საკითხი, სწორედ ის, რასაც ფილოსოფოსები უწოდებენ ყოფიერების შემეცნებასთან, თვითგაგებასა და თვითმხილებასთან წილნაყარ გრძნობას ანუ ონტოლოგიურ შიშს.

დათა თუთაშხია ონტოლოგიური შიშის რაინდია...

ფილმის შემქმნელებმა, ჩემი აზრით, სწორად იგრძნეს მთავარი გმირის ეს მამოძრავებელი საწყისი, როგორც მთელი რომანის სააზროვნო სიტუაციების მფეთქავი ნერვი...

რამდენნაირი გზა და საშუალება არ მოსინჯა დათა თუთაშხიამ, რომ ამომწურავი პასუხი მიეღო ადამიანის არსებობის საზრისზე, მაგრამ ყველა მისი ცდა და ექსპერიმენტი უნაყოფო აღმოჩნდა. ახლა იგი დაღლილი, შუბლზე უკვე სკეფსისით ნაოჭდასმული, უსინათლო მოხუცი ებრაელის წინაშე დგას და მოსეს ამ ბრძენი შთამომავლისაგან მოელის პასუხს მარადისობისთვის დაგდებულ კითხვაზე: — „რაი არს ჭეშმარიტებაი?“

ეს კითხვა დათა თუთაშხიასათვის პიროვნული ვნების ხარისხში აყვანილი კითხვაა. მასზე პასუხის გაუცემლად ანუ უსაზრისოდ არსებობა დათა თუთაშხიას არ შეუძლია.

„— ისეთი და იმდენი მოხდა ჩემს ახლომახლოს ადრეც და ბოლო ხანებშიც, რომ ვერ გამოვიტანე აზრი, რა ვქნა და როგორ ვიყო მერე. ეს უნდა ვიცოდე მე, არ შემიძლია სხვაფრად“, — ეუბნება იგი მორდუხაის და დაასკვნის: „ნახვა უნდა ამასო“...

მაყურებელმა, ისე როგორც რომანის მკითხველებმა კარგად უწყიან, რომ „ნახვა უნდა ამასო“, დათა თუთაშხიასთანა წყობის კაცისთვის ნიშნავს არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ გარკვეული ადამიანური თვალსაზრისის, კონცეპციის, პრაქტიკულ შემოწმებას. სხვისი და განყენებული თვალსაზრისის ბრმად და შეუმოწმებლად მიღება დათა თუთაშხიას არ შეუძლია.

მთელი რომანისა და შვიდსერიიანი ფილმის მანძილზე სწორედ ასეთი თვალსაზრისების, ეთიკური პოზიციის შემოწმება მიმდინარეობს. დათა თუთაშხიას თავგადასავალი ადამიანის გონითი ცხოვრების პრინციპთა შემოწმება-გამოცდის გზაა და არა მოგზაურის, ავანტიურისტისა და მონადირის თავგადასავალი.

რომანისაგან განსხვავებით ფილმში ამ შემთხვევების სააზროვნო სიტუაციები შეკუმშულია. ფილმისათვის რომანის რამდენიმე ეპიზოდია გამოყენებული.

რაკი რომანისა და ფილმის ურთიერთობის საკითხზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ფილმში რომანის პასაჟებმა კინოს გამომსახველობითი ენისთვის აუცილებელი ტრანსფორმაცია განიცადა. მაგრამ რომანის სააზროვნო სიტუაციები, პიროვნებათა და მოვლენათა მეტაფორული, გადატანითი, მეორადი, მრავალმნიშვნელოვანი განზომილებანი, ძირითადად, შენარჩუნებული იქნა. ძირითადადო, ვამბობთ იმიტომ, რომ რომანის მაგისტრალური სიუჟეტის მითოსური პლანი, როგორც კონკრეტულ-ისტორიული დროის განზომილებაში ამოტივტივებული საკითხებისათვის მარადისობის განზომილებაში ადგილის მოძებნის ცდა ფილმში ზოგჯერ მინიშნების დონეზე რჩება. მაგრამ მთავარი, თუთაშხიას თავგადასავლის ძირითადი პათოსი, შენარჩუნებული იქნა. ეს არის ფილმის შემქმნელი რეჟისორების: გიგა ლორთქიფანიძის, გიზო გაბესკირიასა და მსახიობთა გამარჯვების საფუძველი.

რა იყო ეს „ისეთი და იმდენი,“ რაც დათა თუთაშხიას გარშემო დატრიალდა და რომელთა შესახებაც მან ვერ გამოიტანა აზრი „რა ქნას და როგორ იყოს მერე?“...

ფილმის ავტორებმა დათა თუთაშხიას გააზრების ახალი ვარიანტი შექმნეს. მას შემდეგ, რაც დათა თუთაშხია რევოლუციონერ როგაჩოვის დახმარება-გადარჩენის გამო იძულებულია აბრაგობა დაიწყოს, თავისებური გამოცდის წინაშე დგება ცხოვრებასთან და ადამიანებთან მისი დამოკიდებულების პრინციპი.

ეს პრინციპი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ესთეტიკური ან უტოპიური ზნეობრიობა.

ფილმის მიხედვით, სამჯერ გაიარა შემოწმება ამ ამოსავალმა პრინციპმა, როგორც ცალკეულ ადამიანთა ხვედრთან, ისე ფართო სოციალურ წრესთან მიმართებაში. პრაქტიკამ ყველა შემთხვევაში იმედგაცრუებული დატოვა დათა თუთაშხია.

ჩაერია დათა თუთაშხია ბუდარსა და ბუდარიხას უმწეო და უილაჯო ცხოვრებაში. გაუწოდა მათ ხელი, აგრძნობინა სიკეთის უანგარობის ძალა. შედეგი — საპირისპიროა. მათთვის ხელშეწყობით დათა თუთაშხიამ მიიღო ბატონად ქცეული მონის ის ვარიანტი, რომელიც ყველაზე უარესია ადამიანთა ბნელ და მახინჯ ინსტინქტებს შორის.

„არ გამოვიდა სიკეთე ბუდრების ხელიდანო“ — დაასკვნა თუთაშხიამ და გაეცალა იქაურობას. მაგრამ მის ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იმ ფანტასტიკურმა სანახაობამ, რაც მან საირმის საზოგადოებაში აღმოაჩინა.

ეს არის დაკვირვების უფრო ფართო სივრცეზე გაშლილი სოციალური ფსიქოლოგიისა და რომანის სოციალური პლანის შთამბეჭდავი პანორამა.

ფილმის შემქმნელებმა აქ გვიჩვენეს მთელი მექანიზმი იმისა, თუ როგორ ხდებოდა გონებრივად მოუმზადებელი ხალხის მოქცევა უტოპიური საზოგადოებრივი იდეების ტყვეობაში. ასეთმა ვითარებამ ნათლად დაადასტურეს კაცობრიობის გონითი პრინციპების: სიკეთის, სამართლიანობის და თავისუფლების რეალიზაცია თავისსავე უარყოფაში... ასეთი მდგომარეობიდან მათი გამოყვანის დათასეულ ცდას და სიკეთეს ამ საზოგადოებამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა...

ამით მთავრდება ადამიანის საზრისის ძიების ერთი ციკლი.

დათა თუთაშხიამ საბედისწერო დასკვნა გააკეთა: „არ ღირს ადამიანის მიდგომა წესიერი კაცის ზრუნვად და ქვეყნის არეულდარეულ საქმეებში ჩარევად“.

ვნახოთ სანამდე მიიყვანა ამ პრინციპმა დათა თუთაშხია.

გავიხსენოთ დურუ ძიგუას დუქანში დატრიალებული ცოდვის ეპიზოდი...

ეს იყო დათას ზნეობრივი მარცხის ის კულმინაცია, სანამდეც იგი ცხოვრებისა და ადამიანთა ხვედრისადმი გულგრილობას შეეძლო მიეყვანა.

დათა თუთაშხია კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ცხოვრებაში ჩაურევლად და მასში მონაწილეობის გარეშე, არც მას შეუძლია არსებობა და საერთოდ არ შეიძლება ადამიანის არსებობა. ასე მთავრდება მისი ძიებებისა და ექსპერიმენტების მეორე წრე.

მაშ რა? რას უნდა მიმართოს, რა გზას უნდა დაადგეს ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია გულხელი დაიკრიფოს და მშვიდად უყუროს თავისი ერის და კაცობრიობის ზნეობრივ განსაცდელს!?

რომანისა და ფილმის სიუჟეტი სულიერად და გონებრივად ტოლფარდი ორი ადამიანის: დათა თუთაშხიას და მუშნი ზარანდიას ძმობისა და ურთიერთობის ამბავია.

მუშნი ზარანდია თუთაშხიას განსხვავებული „მეა“. ეს ლიტერატურაში მითოლოგიური ტრადიციებიდან ნასესხები ხერხია, როდესაც ერთი ადამიანის შინაგანი წინააღმდეგობებიდან იქმნება, ორი ან მეტი პერსონაჟები.

ამიტომ არის, რომ კვალიფიკაცია, რომლის მიხედვითაც დათა არის კეთილი და მუშნი არის ბოროტი, უნდა შემოწმდეს რომანის ფილოსოფიური აზრის კონტექსტის მიხედვით. მათი ურთიერთობა არ დაიყვანება მხოლოდ კეთილისა და ბოროტის ანტაგონიზმამდე. ის, რაც ამ ურთიერთობაში ერთი შეხედვით ბოროტების გამოხატულებად წარმოგვიდგება, ხშირად მრუდედ გაგებული სიკეთის დევიზით არის ნაკარნახევი, და, პირიქით, კეთილი აღბეჭდილია ბოროტების წყაროდ გარდაქმნის შესაძლებლობით.

დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია ერთი მედლის სხვადასხვა მხარეა. ისინი ერთმანეთს ჰგვანან და ავსებენ ცხოვრების ასპარეზზე საერთო ამოცანების თვალსაზრისითაც.

ორივესთვის სამოქმედო ასპარეზის მასტიმულირებელი საწყისი ერთია: ეს ადამიანისა და მთელი კაცობრიობის არსებობის საზრისის წვდომაა.

შეცდომაა, როდესაც „დათა თუთაშხიას“ ზოგიერთმა კრიტიკოსმა ეს იდეა მხოლოდ დათას მისიად მიიჩნია და ვერ გაითვალისწინა მუშნი ზარანდიას ანალოგიური ამოცანა.

„მე იმ პრინციპით ვხელმძღვანელობ, რომ ნამდვილმა ადამიანმა ბოროტებას არა მარტო უნდა სძლიოს, არამედ სიკეთედ უნდა გარდაქმნას იგიო“ — გვეუბნება ზარანდია.

მაშ რა განასხვავებს მათ?

განსხვავება იმაშია, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტის გზა დათა თუთაშხიას გონითი ცხოვრების მიხედვით მუდამ სიტუაციურია, ყოველწამიერი, ადამიანთა კონკრეტულ ურთიერთობაშია შესანარჩუნებელი. მუშნის აზრით კი, სიკეთე და სამართლიანობა ამ სიკეთისა და სამართლიანობის განმასხვავებელმა საზოგადოებრივმა საწყისმა ანუ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. თუ სახელმწიფო თავად არის ადამიანთა გონითი ცხოვრების განხორციელების საშუალება, სახელმწიფოს სამსახური გონითი ცხოვრების ანუ სიკეთის სამსახურია.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა სიკეთისადმი დამოკიდებულების ორი გზა; ეს ორი პოზიცია ორი პიროვნების სულიერი ინტერესების ერთმანეთთან შეხების, დაპირისპირების, თანაგრძნობის, პროვოცირების, შემოწმება-გადამოწმების, მტრობისა და თავდადებული სიყვარულის ფონზე ვითარდება.

შეცდომა იყო, როდესაც ზოგიერთმა კრიტიკოსმა ამ რომანში ვერ დაინახა დიდი სოციალური ძვრების მაუწყებელი სიგნალები.

საქმე ის არის, რომ „დათა თუთაშხია“ სოციალური ფსიქოლოგიისა და სოციალური ძვრების წარმოსახვის თვალსაზრისითაც ახალი და ორიგინალური ნაწარმოებია ჩვენს და არა მხოლოდ ჩვენს ლიტერატურაში.

თუ ტრადიციის მიხედვით, სოციალური პლანის წარმოჩენისათვის, ძირითადად, ყურადღება კლასობრივი ბრძოლის სურათებზე მახვილდებოდა, ამ ფილმის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ამ ბრძოლის სულიერი საფუძვლები.

უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლუციის იდეები რევოლუციურ ბარიკადებზე კი არ იბადება, არამედ გაცილებით ადრე მწიფდება ადამიანთა შეგნებასა და ნააზრევში.

„დათა თუთაშხია“ პირველი ქართული რომანი და ფილმია, რომელმაც ამ იდეების ჩასახვა და თვითმპყრობელობის დამხობის აუცილებლობა გვიჩვენა, როგორც ადამიანთა სულიერი და გონებრივი ევოლუციის შედეგი...

დათა თუთაშხიას ჩვენ იმ საფეხურზე დავშორდით, როდესაც მან ცხოვრებაში ჩაურევლობის პრინციპშიც ვერ იპოვა ადამიანის არსებობის საზრისი. სიცოცხლის აზრის ფაუსტურ ძიებაში იგი ახალი საშუალების მოსინჯვას ცდილობს. იქნებ უდარდელ ცხოვრებაშია არსებობის იდეალი?

ასე ჩამოდის დათა თუთაშხია თბილისში, როგორც ლაზი აზნაური არზნევ მუსკია, მაგრამ ვერც ამ ასპარეზზე იპოვა მან ადამიანის ცხოვრების მიზანი.

ასე შეუდგა იგი თავისი ძიებების ახალ აღმართს, რომელიც რომანში „ბოსტნის მარგვლის“ ანუ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის იდეაში გამოიხატა.

ამის შემდეგ მან საპყრობილის კარიც შეაღო. ფილმის ამ კადრებში, ისე როგორც წინა ეპიზოდებში, რომლებშიც თავისებურად ჟღერს ჰამლეტური რეპლიკა: „თითქო ქვეყანა იყოს ბაღი გაუმარგლავი“, — ექოდ მოისმის ჰამლეტისავე სიტყვები, რომ „დანია — საპყრობილეა“.

დათა თუთაშხია, ცხადია, ვერც საპყრობილეში იპოვიდა თავისი დანიშნულების აზრს. და იმ იდეით შთაგონებულმა, რომ მხოლოდ მოყვასთათვის თავდადებულ ბრძოლასა და მათი მომავლისათვის მსხვერპლის საფასურად ცხოვრებაშია ადამიანობის შინაარსი, დაიწყო ქვეყნის მარგვლა.

ძალადობა. ძალადობით დათრგუნვილი ბოროტება, რამეთუ დათა თუთაშხიასათვის სხვა გამოსავლის ჭაჭანება არსად არის. ისევ ბრძოლა თავისთავთან, ისევ მოქმედება და იმ რიგის, იმ თვისობრიობისა, რომელიც დათას ბუნებას დიამეტრალურად ეწინააღმდეგება და ეკრანიდან ეს უფრო დიდ გმირობად გამოისახება, ვიდრე ინსტინქტებიდან გამომდინარე საგმირო საქმე.

ისევ მარცხი, ისევ წინასწარ გააზრებული და დასახული მოქმედების შედეგთა გადაფასება...

და კვლავ ფიქრი, ძიება და უსაზღვრო ტანჯვით მოპოვებული პროგრამა სულიერი არსებობისა.

რეჟისორების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ფილმში ზემომოყვანილი აზრის ეკრანზე რეალიზება, წიგნისგან განსხვავებით, სხვაგვარად ხდება, მაგრამ პრობლემის გადაწყვეტას ეკრანი ისევე ხატოვნად აღწევს, როგორც ლიტერატურული პირველწყარო.

ამრიგად, გზა, რომელსაც დათა თუთაშხია თავისი ძიებების ბოლო საფეხურზე დაადგა, არა მხოლოდ ბოროტების საწინააღმდეგო, არამედ ამ ბოროტების სიკეთედ გარდაქმნის იდეაში გამოიხატა. ფართო სოციალურ და სახელმწიფოებრივ პლანში ეს იდეა ზარანდიამაც იგრძნო და გაიცნობიერა. ქრისტიანიზებულ მითოსში ასეთი მიზანი მსხვერპლის გზით მიიღწევა. დათა თუთაშხიას მსხვერპლში ზარანდიამ მისი გამარჯვებისა და უპირატესობის იდეა აღმოაჩინა. დათას ღვენაში მუშნი ზარანდიამ საკუთარ სახეზე იუდას ნიღაბი მოირგო. საკუთარ და დათას ერთობლივ მსხვერპლში კი ქაოსიდან დაბადებული მომავალი რევოლუციის გამარჯვება დაინახა. ასეთია მუშნის თვითუარყოფის გზა. მუშნი ფაუსტის იმ პროტაგონისტ მეფისტოფელს გვაგონებს, რომელსაც „ბოროტება სწყურია — სიკეთეს კი თესავს“.

მაყურებელმა უკვე იცის, რომ ერის, საზოგადოების ტრაგედია, ისევე, როგორც ტრაგედია პიროვნებისა, რადგანაც პიროვნების ხვედრი ერის ხვედრის გამეორებაა — პროგრესული იდეის, ფუნქციის, ისტორიული მისიის უქონლობიდან გამომდინარეობს; ისტორიულ ფუნქციას ერი მაშინ იძენს, როდესაც მსოფლიო-ისტორიული, პროგრესული ამოცანები მის ეროვნულ ამოცანად იქცევა. პიროვნება მნიშვნელობას იძენს ერის პროგრესული ამოცანების გათავისების გზით, იმ სიმაღლეებზე ასვლის შედეგად, რაიც სახელმწიფომ, იდეოლოგიამ უნდა უზრუნველყოს. ამ მხრივ ფილმი მხარში უდგას ცოტა ხნის წინ გამოთქმულ აზრს, რომ სახელმწიფო არამარტო უნდა ზრუნავდეს იმაზე, „თუ როგორია ადამიანი, არამედ იმაზეც, თუ როგორი უნდა იყოს იგი“.

ვიდრე ამ კინონაწარმოების ფინალს შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რამ მოუტანა ფილმს გამარჯვება, უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს გ. ლორთქიფანიძისა და გ. გაბესკირიას მიერ ფილმის გადაწყვეტის სწორი მხატვრული მეთოდი, რაიც ნაწარმოების თხრობითი ფორმით შესრულებაში გამოიხატება. რეჟისორები მართებულად არ აჰყვნენ ჩვენი სინამდვილის კინემატოგრაფიულ ძიებათა მაცდუნებლობას და სცენარის სააზროვნო სიტუაციის განხორციელება დაისახეს ძირითად მიზნად. ფილმის მნიშვნელოვან გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ რეჟისორებმა დაგვანახვეს ქართული თეატრისა და კინოს მსახიობური შესაძლებლობები და ბრწყინვალება. მიუხედავად როლის სიგრძისა, სიდიდისა და მნიშვნელობისა, ფილმში არ არის დიდი და პატარა, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო როლი. ფილმში არის ხელოვნების, ტალანტებისა და შემოქმედების დიდი ზეიმი, რომელსაც გვაზიარეს ოთარ მეღვინეთუხუცესმა და თენგიზ არჩვაძემ, იური იარვეტმა და გურამ ფირცხალავამ, სესილია თაყაიშვილმა და აკაკი ვასაძემ, ქეთინო კიკნაძემ და სოფიკო ჭიაურელმა, იმედო კახიანმა და გიორგი გეგეჭკორმა, გიორგი საღარაძემ, ლეო ფილფანმა, გურამ საღარაძემ... გვეპატიოს თუ საგაზეთო სტატიამ ვერ დაიტია ასი თითქმის თანატოლი ნიჭისა და საშემსრულებლო მომხიბლაობის მსახიობი. და მაინც ცალკე უნდა შევაფასოთ ო. მეღვინეთუხუცესი, რომელმაც, უდიდესი დამაჯერებლობით შეძლო დათა თუთაშხიად გადაქცევა.

კინოხელოვნების ნიმუში ისეთი რამ არის, სადაც ძნელია ავტორობა მიანიჭო მხოლოდ რეჟისორებსა და მსახიობებს. ფილმს გამარჯვება მოუტანა იმანაც, თუ როგორ მოძრაობს ლევან ნამგალაშვილის კინოკამერა, იმანაც თუ როგორი კომპოზიცია აქვს კახი ხუციშვილის თითოეულ კადრს და იმანაც, თუ როგორ გაიჟღერა ჯანსულ კახიძისა და ბიძინა კვერნაძის მუსიკამ.

მისასალმებელია, რომ „ქართულმა ფილმმა“ თავისი კიდევ ერთი ცხოვრება დაიწყო სატელევიზიო მრავალსერიიანი სურათების ჟანრში და, ამასთან, ასეთი წარმატებით, ასე მშვენივრად.

ყველაფერს აქვს თავისი დასასრული. დასასრული აქვს „დათა თუთაშხიას თავგადასავალსაც... ჩვენ აქამდე არაფერი გვითქვამს იმაზე, თუ რამდენს ფიქრობდა თავის სიკვდილზე თუთაშხია. ძველად ფილოსოფიას განმარტავდნენ, როგორც ადამიანის ფიქრებს სიკვდილზე. დათა თუთაშხიამ საკუთარი სიკვდილიც იმ მიზანს დაუქვემდებარა, რაზეც მთელი სიცოცხლის მანძილზე ფიქრობდა.

დათას სიკვდილი მუშნის ჩანაფიქრის მიხედვით არ უნდა ყოფილიყო და არც იყო ჩვეულებრივი მკვლელობა. დათას შეხვედრა სიკვდილთან უნდა ყოფილიყო და იყო დათას უკანასკნელი გამოცდა, ულმობელი პროვოცირება, მისი ცხოვრებისა და პოზიციის შემაჯამებელი აქტი, ჯვარცმა და ამაღლება.

მაყურებელმა ნახა, თუ რა გზით ხორციელდება „სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის“ საიდუმლოება.

დათა თუთაშხია მარადისობას შეუერთდა...

რაც ჩვენ ვნახეთ, მხოლოდ ერთ დასკვნას გვაკეთებინებს: დათა თუთაშხიას სახე ჩვენში ბადებს რწმენას, რომ ჩვენ გვერდით დააბიჯებს გმირული სულის ადამიანი, რომელსაც შეიძლება შეხვდე, ხელი გაუწოდო, როგორც ჩვენი და მთელი კაცობრიობის ჭირ-ვარამთა ამაყ მოზიარეს; გვჯერა, ასევე მიიღებს მას არაქართველი მაყურებელიც.

გიორგი გაჩეჩილაძე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ჩვენს არემარეში

სიმღერის უკვდავება

ამ დღესასწაულს ვანობა შეარქვეს სიღნაღელებმა და უკვე რამდენი წელიწადია დიდი სიყვარულით აწყობენ. გუშინწინდელი მაინც გამორჩეული იყო, თუნდაც იმით, რომ სტუმრებიც და მასპინძლებიც ვანო სარაჯიშვილის დაბადების მე-100 წლისთავს ზეიმობდნენ.

სიმღერის დღესასწაული ჯერ ქალაქის ცენტრში დაიწყო, იქ, სადაც აღმართულია „საქართველოს ბულბულის“ ვანო სარაჯიშვილის ძეგლი. შემდეგ მოზეიმეებმა ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში გადაინაცვლეს.

ანაგელებსა და ტიბაანელებს, ჯუგაანელებსა და ნუკრიანელებს, ბოდბელებსა და მაღაროელებს თავიანთი ლაზათი დაეტყოთ ვანობისთვის. ჩალით გადახურული ქოხები დაედგათ და სტუმრებს კახური გულუხვობითა და სიკეთით სთავაზობდნენ ღვინოს, შოთს და ხილს... იქვე ზურნა უკრავდა და ქართული ჭიდაობის ფალავნებს ძალასა და ხალისს მატებდა.

ვანო სარაჯიშვილის უამრავ თაყვანისმცემელს სიმღერის დღესასწაული მიულოცა საქართველოს კომუნისტური პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ბუჩუკურმა.

ზეიმზე ითქვა: სწორედ ამ მშვენიერ გარემოში უნდა დაბადებულიყო ვანო სარაჯიშვილი მომღერალი, რომელსაც მადლიერმა ხალხმა საქართველოს ორფევსი უწოდა, ითქვა, როგორი იყო მისეული „აბესალომი“, როგორ მღეროდა „ურმულს“, „თავო ჩემოს“. ისიც ითქვა, თუ რას აკეთებენ და მომავალშიც რას შექმნიან იმისათვის, რომ უფრო ლამაზად გაბრწყინდეს მშვენიერი ლეგენდა ვანო სარაჯიშვილზე.

ლაღად გაშლილ ალაზნის ველს, სიღნაღიდან დიდხანს ეფინებოდა მოზეიმეთა სიმღერები.

ვ. მჭედლიშვილი,

ჯ. ქურხული,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მშობლიურ საჩხერეში

გასულ შაბათს პოეტ მუხრან მაჭავარიანის მშობლიურ საჩხერეში დიდი ზეიმი იყო: აქაური მშრომელები შეხვდნენ თავიანთი რაიონის სახელოვან მკვიდრს.

მას მთელი საჩხერის რაიონი შეეგება. თბილისიდან და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულმა უამრავმა სტუმარმა თავი მოიყარა საწერეთლოს ცენტრში, სადაც მუხრან მაჭავარიანი სტუმარიც იყო და მასპინძელიც. ზემო იმერეთის ამ პატარა კუთხეში კარგად იციან პოეზიის მადლი და ყადრი. ამ კუთხემ მისცა ჩვენს ქვეყანას ბევრი ცნობილი მწერალი, ხელოვნების მოღვაწე, რევოლუციონერი, აკადემიკოსი... მართლაც რომ, აქვთ საამაყო საჩხერელებს.

მუხრან მაჭავარიანს ცხოვრების შუადღე დაუდგა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მზე შუადღისა უფრო მწველია, უფრო ცხელია, უფრო თაკაკარა“. და ეს ცხოვრების შუადღე მიულოცეს მას მშობლიურ საჩხერეში პოეტმა-აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ და პარტიის საჩხერის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ლ. პარკაძემ, საქართველოს გამსახკომის თავმჯდომარემ, მწერალმა ე. მაღრაძემ და საჩხერის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელმა ზ. ხუნდაძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, მწერალმა ლ. სანიკიძემ და სოფელ არგვეთის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ზ. თოდაძემ, მწერალმა-დრამატურგმა ამირან აბშილავამ და რაიონის მედიცინის მუშაკთა სახელით — ექიმმა გ. ვასაძემ, ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორის მოადგილემ პოეტმა რ. ამაშუკელმა და სოფელ სავანის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელმა ლ. კომლაძემ... იუბილარს ლექსები მიუძღვნეს სოფელ მერჯევის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ი. იაკობიძემ და საჩხერის მესამე საშუალო სკოლის მოსწავლემ ლ. ნანიკაშვილმა. დასასრულ მ. მაჭავარიანმა წაიკითხა თავისი ახალი ლექსები.

ეს შეხვედრა არასოდეს დაავიწყდებათ საჩხერელ მშრომელებს, რომლებმაც იციან ჭეშმარიტი პოეზიის ყადრი.

ბ. ბახტურიძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ტემპს უმატეს

რესპუბლიკის VII სპარტაკიადამ ზუს[illegible] [illegible] რა. გასამართავი დარჩა შეჯიბრებები [illegible] სახეობაში. სა[illegible] [illegible] უფრო დაწინაურდა თბილისის ნაკრები, რომელსაც 22 დამთავრებული სახეობის შემდეგ 3657 ქულა აქვს.

ბოლო დღეებში ტემპს საგრძნობლად უმატეს ქუთაისელებმა. მათ 2167 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლეს. ახლა ისინი 113,5 ქულით ასწრებენ აფხაზეთის სპორტსმენებს, რომლებიც აქამდე მეორე ადგილზე იყვნენ.

ქუთაისელებმა ბოლო შეჯიბრებებში I ადგილი დაიკავეს ლელობურთში და ბალახის ჰოკეიში, ხოლო ტანვარჯიშში II ადგილზე გავიდნენ. სპორტულ ტანვარჯიშში თბილისის ნაკრებმა გაიმარჯვა. მრავალჭიდელთა პირად შეჯიბრებაში რესპუბლიკის სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ თბილისელი ტანმოვარჯიშეები მ. თათარაძე და ი. გოლოვატენკო.

შეჯიბრება ტყვიის სროლაში „დინამოს“ ეშერის სასროლეთზე გაიმართა. აქაც თბილისის ნაკრებმა აჯობა ყველას. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ აფხაზეთისა და ქუთაისის კოლექტივები.

თითქოს მოულოდნელი იყო ლელობურთში ქუთაისელთა გამარჯვება, მაგრამ ამ ქალაქის სპორტსმენებმა მთელი ტურნირი აღმავლობით ჩაატარეს და რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, ჩოხატაურის გუნდი აიძულეს II ადგილით დაკმაყოფილებულიყო. მისასალმებელია გორელების მიერ III ადგილის მოპოვება. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ამ სახეობის განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებშიც ყოფილა შესაძლებელი.

ლ. გელაშვილი.

მეთორმეტე ტური

დღეს მოსკოვში ცსკა-ს და თბილისის „დინამოს“ მატჩით იწყება უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთორმეტე ტური. **საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის „დინამო“ და ცსკა ერთმანეთს 70-ჯერ შეხვდნენ, აქედან თბილისელებმა 24 მატჩი მოიგეს, 17 ფრედ დაამთავრეს, ხოლო 29 შეხვედრა წააგეს. ბურთების შეფარდება 112:91 ცსკა-ს სასარგებლოდ. შარშანდელ ჩემპიონატში ორივე მატჩი მოიგეს დინამოელებმა (2:1 და 4:1).**

ხვალ ერთმანეთს შეხვდებიან: „ფახთაქორი“–„ყაირათი“, „დინამო“ (მინსკი)–„არარატი“, „ზარია“–„ჩერნომორეცი“, „შახტიორი“–„დინამო“ (კიევი), „სკა“–„ნეფთჩი“, „ზენიტი“–„დინამო“ (მოსკოვი), „ლოკომოტივი“–„ტორპედო“.

ზეგ ტურის ბოლო შეხვედრა: „სპარტაკი“–„კრილია სოვეტოვ“.

მოკლედ

რეგბიში ქვეყნის XVI ჩემპიონატის მორიგ ტურში თბილისის „ლოკომოტივმა“ დაამარცხა მოსკოველ თანაკლუბელთა გუნდი — 3:0.

მოსკოვის „სლავასა“ და თბილისის „ელვას“ შეხვედრაში გაიმარჯვა „სლავამ“ — 9:6 (3:3).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

5 ივნისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.30 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 18.00 — განცხადებები (ფ.), 18.05 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.35 — „ადამიანი და ბუნება“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შორს ქალაქის ხმაურისაგან“. (ფ.), 18.45 — მოსწავლეთათვის — „ცვლა“, 19.20 — „გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე“. სტუდიაშია საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კაჭარავა, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: ცსკა–„დინამო“ (თბილისი). მეორე ტაიმი (მ.), 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.10 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო“ — „ბრძოლა კავკასიისათვის“. ფილმი მეცხრე (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მედიცინის მუშაკთა მხატვრული თვითმოქმედება.

მეორე პროგრამით

16.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 16.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გულკა“, 17.10 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა (ფ.), 17.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ადამიანი საფრთხეშია“, 18.30 — განცხადებები (ფ.), 18.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ერთი ცის ქვეშ“, 20.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: ცსკა–„დინამო“ (თბილისი). მეორე ტაიმი (მ.).

თეატრი

5 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **გორდა** (მე-8 აბონ. მე-4 წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **რიჩარდ მესამე**; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ჯორდანო ბრუნო**; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ლამანჩელი**.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02206 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.